საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლ-ოვანი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 19 აგვისტო. 2016 წ. №154 (8046), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქვეყანა ერის ბუნებიდან გამოიდინარე უნდა იმართებოდეს!

საჭიროა აღიარება იმისა, რომ ქვეყნის დღევანდელი და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა სწორედ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების ბრალია; **აღიარება იმისა,** რომ ამ წლებმა ჩვენში სერიოზულად გააჩინა ზნეობის დეფიციტი და არაერთი ზნეობრივი პროფესიონალი პოლიტიკოსი გარიყა. **აღიარება იმისა,** რომ პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული, ძლიერი პოლიტიკოსი, ვინემ პარტიებში... **აღიარება იმისა,** რომ ჩვენთან პოლიტიკოსები ცნობილ მოღვაწეებს უფრო იყენებენ, ვიდრე აფასებენ.

უკვე არა მარტო მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი, არამედ ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ დღეს საქართველოს სჭირდება:

- **პიროვნებათა პარლამენტი.**
- **არა მოლაპარაკეთა, არა სოციალურ დემაგოგთა, არამედ კანონშემოქმედთა პარლამენტი.**
- **არა ურაპატრიოტთა და არა გლობალისტთა, არამედ ქართული ცნობიერების პლანეტარულად მოაზროვნე პოლიტიკოსთა პარლამენტი.**
- **არა გარედან მართვად პარტიათა და პოლიტიკოსთა , არამედ ქვეყნის ინტერესების, ქვეყნის მოსახლეობის მსახური პარლამენტი.**
- **არა ბელადების და ფულიან მაგნატთა პოლიტიკური გემოვნებით დაკომპლექტებული საარჩევნო სიები და პარლამენტი, არამედ ღონიერი აზროვნების პოლიტიკოსთა პარლამენტი (ღონიერი აზროვნების პოლიტიკოსები პარტიებს გარეთ უფრო არიან, ვიდრე პარტიებში).**

დეპეშა ნომერში

სამშობლოს გადარჩენის რწმენით

თბილისი, ღამბაშიძის 4, მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს ეროვნული თანხმობის პარლამენტისთვის:

ძვირფასო მამულიშვილნო!, დიდი გამარჯვებით სამშობლოს გადარჩენის სანუკვარ გზაზე!

პატივისცემით, რწმენით, იმედით,
აკადემიკოსი **ეთერ ქემერტელიძე**

დღეს საქართველოს სჭირდება ისეთი ხელისუფლება და ოპოზიცია, ისეთი მედია და არასამთავრობო სექტორი, რომელიც ჭკუას კი არ ასწავლის ხალხს (ეს მისგან უნდა ისწავლონ), არამედ ემსახურება ხალხს – ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონს!

საქართველო სავსეა ასეთი ადამიანებით, საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ეს დაადასტურა ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის მზადების განვლილმა ეტაპმა. ამას ადასტურებს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრები საქართველოს რეგიონებში – ქალაქებსა და რაიონებში.

დღეს 77 გვარს ვასახელებთ...

იხ. 5-6-7-8 გვ.

ჩვენ ასეთი გაბედული და მამაცი ადამიანებით შევქმნით დიდ ქართულ ერთობას – ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

რა მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურ პლატფორმას,მთავარია ერთიანი ფრონტით „ოცნების“ განიორწყლება!

პაატა ბურჭულაძე, გაგირჩებულ ნაციონალებთან და მარცხნივ მაცქერალ „ახალ მემარჯვენეებთან“ ერთად, პირველად ქართულ სინამდვილეში, ამზადებს ახალი პოლიტიკური ოპერის დადგმას, მიძღვნილს ოდესაში გატაცებული სააკაშვილისადმი.

ოპერას, სავარაუდოდ, ერქმევა „იავნანამ რა ჰქმნა?“

მთავარ პარტიას შეასრულებს სანდრა რულოვსი, ელენე ხოშტარიას, ირმა ნადირაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილის, თამარ ჩერგოლეიშვილის და ეკა ხერხეულიძის მცირე გუნდთან ერთად!

შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება პარტიის – „სახელმწიფო-ხალხისთვის“ ფონდში („იავნანაში“ არ აგერიოთ!).

ჩვენებური ხუნვეიბინები

③ მითხარით, ④ ვინ არის თქვენი გურუ, და გეტყვით, ვინა ხართ თქვენ!

გაზეთის ეს ნომერი საცალო ქსელში მომავალ ხუთშაბათამდე გაიყიდება

საქართველოს აგრარული პოტენციალი და თურქეთის გამოცდილება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თურქეთის სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მინისტრს ფარუკ ჩელიკს შეხვედა.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სავაჭრო-ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებს.

საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის განვითარებულ წარმატებულ თანამშრომლობას, რაც მხარეების შეფასებით, ბოლო წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა. გამოთქვა იმედი, რომ თბილისში მიმდინარე საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმი ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას.

„მოხარული ვარ, რომ იმყოფებით საქართველოში და ესწრებით საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმს. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კუთხით არსებობს ძალიან დიდი პოტენციალი და ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი“,— აღნიშნა პრემიერმა.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოს აგრარულ პოტენციალზე და ამ მიმართულებით თურქეთის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე. საქართველოს პრემიერ—მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე (DCFTA), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს. ქართული მხარის განმარტებით ევროკავშირთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი დამატებითი შესაძლებლობაა სხვა ბაზრებზე სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის.

* * *

თურქეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზრდება, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარჯზეც მოხდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ თურქეთის სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მინისტრს ფარუკ ჩელიკს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის კუთხით თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ფარუკ ჩელიკმა თურქეთისთვის მძიმე წუთებში საქართველოდან მიღებულ მხარდაჭერას გაუსვა ხაზი. მინისტრმა აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ, თურქეთში, საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული საბჭოს



შეხვედრაზე საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია იმყოფებოდა. სწორედ იქ მოხდა შეთანხმება, რომ უახლოეს დროში, სოფლის მეურნეობის საკითხებზე გაფართოებულ ფორმატში შეხვედრა საქართველოში გაიმართებოდა.

„დღევანდელ შეხვედრაზე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ. 22 წლის შემდეგ, პირველად იმართება სოფლის მეურნეობის სფეროში აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრა, რომელიც ძალიან სასარგებლო იქნება თანამშრომლობისა და ურთიერთობების მომავალი განვითარების თვალსაზირისით. თურქეთსა და საქართველოს შორის კარგი სავაჭრო ურთიერთობებია, მაგრამ მისი მთელი მოცულობის მხოლოდ 10%-ს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ეს არ შეეფერება იმ პოტენციალს, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს. ჩვენ შევთანხმდით, რომ აუცილებელია ძალისხმევა იმისთვის, რათა ეს პოტენციალი განვავითაროთ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იმყოფება თურქეთიდან 44 ბიზნესმენი, რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწეობენ და ისინი დღეს გამართულ საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმში მიიღებენ მონაწილეობას“, — განაცხადა ფარუკ ჩელიკმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია და მნიშვნელოვანია, ყველა საკითხი, რაც ქვეყნებისთვის ორხმრივად სასარგებლო და სასიკეთოა, დადებითად გადაწყდეს.

„შეხვედრაზე შევთანხმდით პრაქტიკულად ყველა საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოდან თურქეთში პროდუქციის ექსპორტის თვალსაზრისით. არის ბევრი მიმართულება, სადაც შეიძლება საქართველომ და თურქეთმა აქტიურად ითანამშრომლონ. უნდა აღინიშნოს, რომ უპირობოდ შეგვიძლია თანამშრომლობა იმ პოზიციებში, რომლებიც ევროკავშირის მიერ არის აღიარებული. ამიტომ ევროკავშირთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესი, არის დამატებითი შესაძლებლობა კიდევ უფრო გავაღრმავოთ სხვა ბაზრებზე სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოდან თურქეთში ისეთი პროდუქტების ექსპორტს, როგორიცაა თხილი, ხორცი, ასევე თაფლი და ყურძნის კონცენტრატი. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა ითვალისწინებს ორმხრივ ურთიერთობებს, მათ შორის თურქეთიდან იმ პროდუქციის იმპორტს, რომლის წარმოებაც ქვეყანაში არ ხორციელდება.

სოსო მანჯავიძე ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის საკითხზე პლებისციტის დანიშვნას ითხოვს

ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების საინიციატივო ჯგუფის წევრი სოსო მანჯავიძე რეფერენდუმის საკითხზე პლებისციტის დანიშვნის მოთხოვნით პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს უახლოეს დღეებში ოფიციალური წერილით მიმართავს.

როგორც მანჯავიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რეფერენდუმი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ქვეყნის განვითარებისა და მისი სუვერენობის ხარისხის ამაღლებისათვის.

„მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა უარი თქვა რეფერენდუმის დანიშვნაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროცედურა დაცული იყო. მან სრულიად გაუგებარი, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი უარი განაცხადა, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ის არგუმენტები, რომელიც პრეზიდენტმა წამოაყენა, უმნიშვნელო და აბსურდულია. პრეზიდენტმა თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას გადააჭარბა.

პრეზიდენტს სამი დღის ვადაში უნდა გადაეგზავნა გადაწყვეტილება პრემიერისთვის, შემდეგ კი, პრემიერს ათი დღე აქვს კონტრასიგნაციისთვის. პრემიერის პოზიცია მისი საჯარო გამოსვლებიდან ვიცით. მან განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამ საკითხს და პარლამენტში გაიტანს მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვა ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია პრემიერის უარი კონტრასიგნაციაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ შევდივართ ჩიხში“, — განაცხადა მანჯავიძემ.

ის გიორგი კვირიკაშვილს მიმართავს, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება გამოიყენოს და პლებისციტი დანიშნოს.

„პრემიერს აქვს უფლება, დანიშნოს პლებისციტი. ამ შემთხვევაში, თავიდან ავიცილებდით იმ დაძაბულობას, რომელიც საზოგადოებაშია“, — აცხადებს მანჯავიძე.

ნინო ბურჯანაძე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს შეხვდა

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა.

როგორც რუსეთიდან დაბრუნებულმა ბურჯანაძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა, მოსკოვში ის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს სერგეი ნარიშკინს შეხვდა.

„მე ვიყავი მოსკოვში და შევხვდი ბატონ ნარიშკინს, რომელიც გახლავთ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და რომელიც იქნება რუსეთის მომავალი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე.

ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ჩვენს შორის შედგა ძალიან საინტერესო და კონსტრუქციული საუბარი. ამ შეხვედრით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია რუსეთის უმაღლეს პირებთან პირდაპირი, უშუალო დიალოგის წარმოება.

გარწმუნებთ, რომ არჩევნების შემდგომ ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ უმაღლეს დონეზე დიალოგი გაიმართოს. მე შევხვდები რუსეთის ხელისუფლების მმართველ პირებს და ეს ჩვენ დაგვეხმარება, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები გადავიყვანოთ ახალ ჭრილში და დავიწყოთ იმ პრობლემების დარეგულირება, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

SOS: მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციის მოწყობას გეგმავს

მოძრაობა „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერის ტრისტან წითელაშვილის განცხადებით, საქართველოს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რევოლუციის მოწყობას გეგმავს.

როგორც წითელაშვილმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, გეგმის განსახორციელებლად სააკაშვილი თურქეთ-საქართველოს საზღვართან ახლოს, ქალაქ ხოფაში, ოფისის გახსნას გეგმავს.



„თუ სააკაშვილი ჩავა ხოფაში, გახსნის შტაბს და დაიწყებს ხოფადან არეულობას, სისხლისღვრას საქართველოს ტერიტორიაზე, პირდაპირ მისი შტაბის წინ გავხსნით შტაბს და დავიწყებთ საპროტესტო აქციებს. მოსახლეობა, რომლებიც დაგვიდგება გვერდით და წინააღმდეგობას გაუწევს სააკაშვილის ბინძურ გეგმებს, ჩვენ მოვახდენთ მათ უსაფრთხო ტრანსპორტირებას და ყველა საჭირო საშუალებებით აღჭურვას, მხედველობაში მაქვს როგორც კვება, ისე სხვა დანარჩენი მომსახურება“, — განაცხადა წითელაშვილმა.

აღნიშნულ განცხადებას ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში გამოეხმაურნენ და განაცხადეს, რომ ეს ინფორმაცია არასერიოზულია.

„ხელისუფლება არის აგონიაში. ეს არის აბსოლუტურად არასერიოზული და ბუნებრივია, ამაზე სხვა კომენტარს მე ნამდვილად ვერ გავაკეთებ“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნაციონალური მოძრაობიდან პეტრე ზამბახიძემ.

ლადო ბედუკაძე პოლიტიკურ ძალებს თანამშრომლობას სთავაზობს

პარტია „ცენტრისტების“ ლიდერი ლადო ბედუკაძე ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც მათთან ერთად „ხელისუფლებასთან ბრძოლას გაბედავს“, თანამშრომლობას სთავაზობს. **„ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობასთან “ და მათ სატელიტებთან ერთად არაკანონიერად ცდილობს, არ დაუშვას ჩვენი არჩევნებში მონაწილეობა,რადგან იციან, რომ ეს არჩევნები მათთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდება. მივმართავთ ყველა პოლიტიკურ ძალას, რომლებიც გაბედავს ჩვენთან ერთად ხელისუფლებისთვის ბრძოლას, თანამშრომლობისაკენ“,** — აცხადებს ბედუკაძე.

მითხარით, ვინ არის თქვენი გურუ, და გეტყვით, ვინა ხართ თქვენ!

რა აწუხებდა ინგლისის ყოფილ პრემიერს უინსტონ ჩერჩილს?

ცნობილია, რომ ყველა ქვეყნის პოლიტიკური პარტიის მართვის საკვანძო ორგანო იდეოლოგიური სამსახური და მისი ხელმძღვანელია. ამ მხრივ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვნად მოიკოჭლებენ, უფრო ხშირად, მათი ხელმძღვანელების იდეოლოგიური ნააზრევები პრიმიტიულია და, როგორც წესი, გათვლილია ამომრჩეველთა ვიწრო წრეზე. ამის კლასიკური მაგალითია „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარე შ. ნათელაშვილი. იგი „ჭკვიანი“ პრაგმატიკოსია, შესანიშნავად იცის, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ელექტორატის 2-4% რადიკალურად არის განწყობილი მთავრობის მიმართ და მას ლანძღავს და აგინებს. შ.ნათელაშვილის იდელოგია აგებულია ამ პრიმიტიულ გათვლაზე, იგი უშვერი სიტყვებით აგინებდა ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძეს, მ. სააკაშვილს, ამჟამად აგინებს და ლანძღავს ბ.ივანიშვილს. მისი მოსაწონი არავინ არ იყო და არ არის. ამ იდელოგიით (ამ ილეთით) თითქმის ყველა სახის არჩევნებში 2-3 % აგროვებდა, ამით იგი უზომოდ კმაყოფილი იყო (თუმცა თავს აჩვენებდა, რომ უკმაყოფილო იყო), იდიოტივით იცინოდა ტელევიზორში, კუმირი იყო ყველა ტელეწამყვანის და, რაც მთავარია, ამ საქმით ცოტა პურის ფულსაც შოულობდა და ზოგჯერ ამერიკაშიც დადიოდა სენატორებთან ინგლისურ ენაში „სავარჯიშოდ“.

შ. ნათელაშვილი, ალბათ, ყველამ იცის, რა პოლიტიკური „ფრუქტიცაა“ (ალბათ, ასეა აღზრდილი), მაგრამ ისეთ ახალგაზრდა პოლიტიკოსს, როგორიც არის კ. კუკავა, რა ემართება, რატომ ეჯიბრება შ.ნათელაშვილს მთავრობის გაუთავებელ ლანძღვა-გინებაში, ნუთუ იგი ვერ ხვდება, რომ ამ იდეოლოგიით იგი მხოლოდ შ. ნათელაშვილს და მის პარტიას აყენებს ზიანს, რამდენადაც „წილში უჯდება“ და ცდილობს 1-2% ელექტორატი აახიოს შ. ნათელაშვილს (ეს ახალგაზრდა კაცი თავის დროზე არ ტოვებდა ასეთ პრიმიტიულ შთაბეჭდილებას)? თუმცაღა ეს იდეოლოგიური ნიში (ლანძღვა-გინება), ალბათ, ძალიან მომხიბვლელია პოლიტიკურ ბრძოლაში, რასაც უფრო გამოცდილი პოლიტიკოსებიც (მაგ. ნ. ბურჯანაძე, ი. ალასანია და სხვ.) ძალიან ხშირად მიმართავენ, ზოგჯერ პლაგიატობენ და ციტირებასაც არ უკეთებენ შ.ნათელაშვილის ორიგინალურ გამონათქვამებს.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის პარტიას, აქ საკითხი უფრო რთულად დგას: ყველასთვის ცნობილია, რომ ამ პარტიის იდეოლოგი (გურუ) იყო და არის პარტიის ყოფილი პრეზიდენტი მ. სააკაშვილი. ეს არის კლასიკური მაგალითი იმისა, არასწორმა, ტყუილებზე დაფუძნებულმა, მანკიერმა, თავხედურმა და უზნეო იდეოლოგიამ როგორ შეიძლება დაღუპოს მმართველი პარტია და კატასტროფის წინაშე დააყენოს საკუთარი ქვეყანა.

ცნობილია, რომ ნაციონალური პარტიის ძირითადი იდეოლოგიური იარაღი იყო ტყუილი, სიცრუე და ძალადობა, რომელსაც ნერგავდა წლების განმავლობაში ამ პარტიის ლიდერი, მისი გურუ მ. სააკაშვილი (გაიხსენეთ მისი ყველა საჯარო გამოსვლა). საკვირველია ის, რომ ამას ყურადღებას არ აქცევენ ამ პარტიის ამჟამინდელი ლიდერები, რომლებიც იმავეს აგრძელებენ და ისევ ამ იდეოლოგიით სურთ ხალხის მხარდაჭერის მოპოვება. აბა, დაუკვირდით, ამ პარტიის ამჟამინდელ ყველაზე გავრცელებული სიცრუის თეზისს: **„თუ ხარ ნაცმოძრაობის რიგითი წევრი, ან ამ პარტიის ელიტის წარმომადგენელი, რა სახის დანაშაულიც (წამება, მკვლელობა, კორუფცია) გინდა გქონდეს ჩადენილი, ყველა განაჩენი, გამონაკლისის გარდა, გამოტანილი ამჟამად მოქმედი სასამართლოს მიერ თურმე პოლიტიკურად მოტივირებულია, ხოლო დამნაშავე (ნაციონალი) ვისაც მისჯილი აქვს, თურმე ყველა „პოლიტპატიმარია.“**

ამ პათოლოგიურ სიცრუის კულტივირებას ახდენენ ნაცმოძრაობის წევრები ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, გადიან სპეციალურ ტრენინგებს, ყველა ერთხმად ერთსა და იმავეს იმეორებს ყველა არხზე თოქ-შოუებზე, ოპონენტებს ლაპარაკს არ აცლიან (ესეც პროვოკატორების ცნობილი მეთოდია) და საშინლად უხარიათ, რომ ატყუებენ ევროპარლამენტარებს, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ეს მათ პარტიას არაფერში არ წაადგება (ზოგჯერ კომუნისტებს მაინც მიბაძონ, რომლებიც ჩადენილი დანაშაულისთვის ყველაზე მკაცრად სჯიდნენ სწორედ თავიანთ პარტიის წევრებს, რითიც 70 წელი იბატონეს).

ხშირად თუ ნაცპარტიის წევრს რაიმე დანაშაული არ უმტკიცდება სასამართლოზე, მთელ ქვეყანაზე გაჰყვირიან, რომ მთავრობამ უდანაშაულო ადამიანი დაიჭირა. მათ ამ საკითხის მორალური მხარე საერთოდ არ აინტერესებთ, რამდენადაც არ იციან, რომ ზოგჯერ ქურდს რომ ქურდობას ვერ დაუმტკიცებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ მოუპარავს და ის პატიოსანია.

ნაცმოძრაობის სიცრუის პროგრამა, რომელიც ბორდელის პრინციპით მუშაობს (ყველა მისი წევრი პატიოსანია), ამბობენ, გ.ბოკერიას შექმნილია. თუმცა ამ კაცს ოდნავ ჭკუა რომ ჰქონოდა, იმ ძალაუფლებას, რომელსაც ის ფლობდა თავის დროზე, ერთ კვირაში არ დაკარგავდა. ამჟამად კი რაც მას შეუძლია, არის ის, რომ ჭკვიანი სახით სისულელეების სწრაფ ლაპარაკს თავი დაანებოს და თუ მაინცდამაინც კარგი უნდა ნაცმოძრაობისათვის, თავის „დურა“ ცოლს საერთოდ უნდა აუკრძალოს ტელეეკრანზე გამოჩენა.

ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კანდელაკი, შეიძლება ითქვას, რომ მძიმედ დაავადებულია „ქრონიკული ტყუილის ვირუსით“ (ებოლაში არ შეგეშალოთ), ამას იმისი ჰაბიტუსიც ადასტურებს და მას უნდა ერიდოთ, რამდენადაც „ტყუილის ვირუსმატარებელია“, ხოლო ტყუილის წინააღმდეგ ვაქცინა მეცნიერებას ჯერჯერობით არ შეუქმნია. ეს პიროვნება მიშასთან ერთად დადის ყველგან (საზღვარგარეთ) და ამტკიცებს, რომ საქართველოში პროკურატურა და სასამართლო პოლიტიზებულია, სამართალი არ არის, არაა არავითარი დემოკრატია, ინფორმაციის მასობრივი საშუალებები მთავრობის წნეხის ქვეშ იმყოფებიან და სხვ. ეს ვაჟბატონები ერთხელაც არ დაფიქრდებიან, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში პრეცედენტი არ არსებობს, რომ თავისი ქვეყნიდან გაქცეულ (მისჯილ) პრეზიდენტს თავისი საკუთარი ტელევიზია ჰქონდეს ამ ქვეყანაში და სხვა ქვეყნიდან სისტემატიურად გამოდიოდეს ღია ეთერში და ლანძღავდეს კანონიერად არჩეულ მთავრობას? ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ უკრაინაში (რომელიც ასე უყვართ ნაციონალებს, როგორც დემოკრატიის ეტალონი) დევნაში მყოფი პრეზიდენტი ვ.იანუკოვიჩი უკრაინის ცენტრალური ტელევიზიით თითქმის დღეგამოშვებით გამოდიოდეს და ლანძღავდეს უკრაინის კანონიერად არჩეულ მთავრობას? საერთოდ საინტერესოა ჰკითხოთ, რა აზრის არიან ამაზე ევროპის სახალხო პარტია და ბ-ნი კანდელაკი და მისი შეფი სააკაშვილი?

ყველასთვის ცნობილია, რომ ნაცმოძრაობის ძირითადი იდეოლოგი მ.სააკაშვილი ტყუილების და ლანძღვა-გინების დიდოსტატია, რაც მან შესანიშნავად გამოიყენა თავის პოლიტიკურ კარიერაში. მან წინასწარ განჭვრიტა, რომ რუსეთის და პუტინის ლანძღვა-გინება დიდი დივიდენდების (თუგინდ მატერიალური თვალსაზრისით) მომტანი იყო მისთვის, მაგრამ თუ რამდენად საზიანო იქნებოდა ეს მისი ქვეყნისთვის, მას საერთოდ არ აინტერესებდა. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ჯონ მაკკეინი და ძმანი მისნი, სააკაშვილს ხუთი ტერაქტიც რომ განეხორციელებინა თავის ქვეყანაში, შენიშვნასაც არ მისცემდნენ, ოღონდ მას პუტინისა და რუსეთისთვის ეგინებინა.

სხვანაირად გაუგებარია, რამ გადარიათ ან შეარყიათ ამ კაცზე, ალბათ, მისმა სიგრძემ და ჩქარმა სიარულმა მოხიბლა ისინი, თორემ სხვა რა ჰქონდა მას დასანახი და გამოსაჩენი? ამჟამად იგი აგრძელებს ამ პოლიტიკას, ერთი განსხვავებით, რომ პუტინთან და რუსეთთან ერთად დადის, ლანძღავს და აგინებს საქართველოს და მის ამჟამინდელ მთავრობას. მ.სააკაშვილს ოდნავი პოლიტიკური ალღო რომ ჰქონოდა, ამ დღეში არ ჩააგდებდა თავს და თავის ქვეყანას, თავისი უგუნური პოლიტიკით არ დაუპირისპირდებოდა და მტრად არ წაიკიდებდა რუსეთს, ამ ატომურ ზესახელმწიფოს. საუბედუროდ, ისტორიამ იცის ბევრი შემთხვევა, როდესაც შემთხვევითი (უზნეო) ადამიანები ხვდებიან ქვეყნის სათავეში, ეს მათთვისაც და ქვეყნისთვისაც უკიდურესად ცუდად მთავრდება, რაც, ჩვენდა სავალალოდ, მოხდა საქართველოშიც (შვეიცარიამ თავისი სწორი პოლიტიკით მეორე მსოფლიო ომის დროს თავიდან აიცილა ჰიტლერული აგრესია დასავლეთ ევროპაში).

რომელ პოლიტიკოსობაზეა ლაპარაკი, როდესაც შენი კარის მეზობელი ქვეყანა, რომელსაც რამდენიმე ათასი ატომური ბომბი აქვს და უზარმაზარი ფართობი უკავია და ამავე დროს შენ იცი, რომ ეს ქვეყანა აგრესიული და ანტიდემოკრატიულია, ყველაფერზე წამსვლელია, გაუთავებლად თავხედურად ლანძღავ, აგინებ (ოღონდ მაკკეინს ასიამოვნო) და გაიძახი ვერაფერს ვერ გვიზამს, ჩვენ ამერიკა დაგვიცავსო (როგორ დაგვიცვა ხომ ყველამ ვიცით!)? ღმერთმა დაიფაროს და, თუ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს დაუპირიპირდებიან ამ ჯოჯოხეთური იარაღით ისინი ბოლომდე მაინც არ დაიღუპებიან (უზარმაზარ ტერიტორიებს ფლობენ), ხოლო ჩვენმა პაწაწინა ქვეყანამ, შეიძლება, საერთოდ ისტორიულად შევწყვიტოს არსებობა.

ნაცმოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ონანიზმით დაოსებულ ბავშვს ჰგავს, ეზოში მასზე უფრო კუნთმაგარ ბიჭზე რომ იწევს, რამდენადაც მეზობლის დიდი ბიჭის იმედი აქვს და არ გაჩერდება, მანამ ცხვირში არ მოხვდება. რაც დაემართა სააკაშვილს და ჩიორას ცხვირებს, ამას ვინ ჩივა, მაგრამ რა დააშავა ჩვენმა ქვეყანამ, რომ 21 საუკუნეში ეს პაწაწინა ქვეყანა ამ ბედოვლათების გამო სამ ნაწილადაა გაყოფილი? სააკაშვილს ოდნავი პოლიტიკური ალღო რომ ჰქონოდა, ქვეყანას და თავის თავს ამ დღეში არ ჩაიგდებდა, იგი პოლიტიკურად უვიცი აღმოჩნდა და ძირითადად თავისმა უცოდინრობამ, უზნეობამ და თავხედობამ დაღუპა (აქ ბ.ივანიშვილი არაფერ შუაში არ არის). ამასთან დაკავშირებით ერთმა გაკვირვებულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა დაწერა: **„ასეთი რა იპრეზიდენტა სააკაშვილმა, რომ ქართველები თავის ქვეყანაშიც არ უშვებენ, ხოლო გადაყენებული შევარდნაძე, რომელსაც იგი დღე და ღამე აგინებდა, სამების ეკლესიიდან დაასაფლავესო“.**

რაც შეეხება ნაცმოძრაობის ამჟამინდელ ლიდერებს და პარტიის იდეოლოგებს, თუ უნდათ ხალხის მცირე სიმპათია მაინც დაიმსახურონ, სასწრაფოდ უნდა გამოსცენ სპეციალური „დეკრეტი“, რათა აუკრძალონ ხალხის წინაშე გამოსვლა ისეთ ოდიოზურ ამ პარტიის წევრებს, როგორებიც არიან: დ. ბაქრაძე, გ. თარგამაძე, ხ. გოგორიშვილი, გ. კანდელაკი, გ. გაბაშვილი, ნ. წიკლაური (ეს ხომ საერთოდ მოვლენაა). ამათ შემხედვარე (თუგინდ ვიზუალურად), ვინ მისცემს მათ პარტიას ხმას, გარდა იმ ნარჩენებისა (ქ.იგნატოვა და სხვ.), რომლებიც პათოლოგიურად არიან შეყვარებული მიშაზე?

იხ. 4 გვ.

ნაცმოძრაობის სიცრუის პროგრამა, რომელიც ბორდელის პრინციპით მუშაობს (ყველა მისი წევრი პატიოსანია), ამბობენ, გ.ბოკერიას შექმნილია. თუმცა ამ კაცს ოდნავ ჭკუა რომ ჰქონოდა, იმ ძალაუფლებას, რომელსაც ის ფლობდა თავის დროზე, ერთ კვირაში არ დაკარგავდა. ამჟამად კი რაც მას შეუძლია, არის ის, რომ ჭკვიანი სახით სისულელეების სწრაფ ლაპარაკს თავი დაანებოს და თუ მაინცდამაინც კარგი უნდა ნაცმოძრაობისათვის, თავის „დურა“ ცოლს საერთოდ უნდა აუკრძალოს ტელეეკრანზე გამოჩენა.

(მესამე გვერდიდან) **რაც შეეხება ნაცმოძრაობის ქალთა აქტივს, აქ ხომ მთლიანი კატასტროფაა.** ისინი ხომ შეგნებულად ან შეუგნებლად ძირს უთხრიან ნაცმოძრაობას თავიანთი უზნეო საქციელით, ისტერიკებით, უაზრო წივილ-კივილით, ლანძღვა-გინებით, გაუთავებელი ინტრიგებითა და პროვოკაციებით. **როგორ შეიძლება ოდნავ სერიოზულმა ადამიანმა დაიჯეროს, რომ ჩიორა, ირმა, მარიამი პოლიტიკოსები არიან და თურმე ყველაზე მეტად მათ უყვართ საქართველო?** თუ ნაცპარტიას უნდა ოდნავ მაინც გაიუმჯობესოს მდგომარეობა (როგორც ჩინეთში ხუნვეიბინები აკეთებდნენ), ეს ქალბატონებიც დროებით უნდა გააგზავნონ შრომითი თერაპიის გასავლელად ელიავას ბაზრობაზე.

ნაცპარტიის წევრების აღვირახსნილი პროპაგანდა, რომლის ფლაგმანია „რუსთავი-2“, გაგონებს ბრეჟნევის დროინდელ ტელევიზიას. ამ ვაიპოლიტიკოსებმა ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს, ჯერ იყო, ზ. გამსახურდია თავისი ტელევიზიებით უაზროდ ლანძღავდა და აგინებდა ე. შევარდნაძეს, როგორც ცნობილია, ეს ამბავი დამთავრდა იმით, რომ ქართველებმა ე. შევარდნაძე ჩამოიყვანეს მოსკოვიდან საქართველოში, ხოლო ზ. გამსახურდია გააძევეს თავისი ქვეყნიდან, მერე იყო, და მ. სააკაშვილი თავისი „რუსთავი-2“-ით განუწყვეტლივ ლანძღავდა ე. შევარდნაძეს და ეს ამბავიც დასრულდა იმით, რომ სააკაშვილი გაასამართლეს და გააძევეს ქვეყნიდან, ხოლო ე. შევარდნაძე ქართველებმა პატივით დაკრძალეს.

ახლა იგივე გრძელდება „რუსთავი-2“-ში. უსახო გვარამია, ყბედი გაბუნია, ცრუპენტელა, „მორალისტი“ კვესიტაძე და სხვ., ხოლო რაც შეეხება თავისი მეუღლის მეგობარს დ.კეზერაშვილს (ყოფილი თავდაცვის მინისტრი), მაყურებელს უმტკიცებს, რომ თურმე მას საქართველოში მილიონები კანონიერად აქვს ნაშოვნი და ოფშორებში გატანილი და იგი უმწიკვლო და პატიოსანიაო. ეს პარტიული აგიტატორები, ვითომ ჟურნალისტები, ერთხელ არ დაფიქრდებიან თუ რატომ ეშინიათ ასე ბ.ივანიშვილის. სიმართლე კი ის არის, რომ ბ.ივანიშვილმა თავისი იდეოლოგიის ქვაკუთხედად (რომლის მიმართ საზოგადეობა ყოველთვის იყო ზემგრძნობიარე), აღიარა მარტივი და ამავე დროს ყველაზე ღირებული პროგრამა — ბრძოლა უზნეობის, სიცრუისა და ძალადობის წინააღმდეგ, რითაც ასე უხვად იყვნენ და არიან დაჯილდოებული მისი ოპონენტები.

რაც შეეხება ნაცმოძრაობის ამჟამინდელ ლიდერებს და პარტიის იდეოლოგებს, თუ უნდათ ხალხის მცირე სიმპათია მაინც დაიმსახურონ, სასწრაფოდ უნდა გამოსცენ სპეციალური „დეკრეტი“, რათა აუკრძალონ ხალხის წინაშე გამოსვლა ისეთ ოდიოზურ ამ პარტიის წევრებს, როგორებიც არიან: დ. ბაქრაძე, გ. თარგამაძე, ხ. გოგორიშვილი, გ. კანდელაკი, გ. გაბაშვილი, ნ. წიკლაური (ეს ხომ საერთოდ მოვლენაა). ამათ შემხედვარე (თუგინდ ვიზუალურად), ვინ მისცემს მათ პარტიას ხმას, გარდა იმ ნარჩენებისა (ქ.იგნატოვა და სხვ.), რომლებიც პათოლოგიურად არიან შეყვარებული მიშაზე?

რაც შეეხება ბ.ივანიშვილის ფენომენს, იგი ქვეყნის ნამდვილი ლიდერი, ნამდვილი გურუა, ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია და მას, გარდა თავისი ქვეყნის სიყვარულისა, ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში სხვა არაფერი არ ამოძრავებს. ამ კაცმა აბსოლუტურად სწორი გათვლა გააკეთა და სიმართლის ტალღაზე, რომელიც ასე სჭირდებოდა ქართველ ხალხს, ყოველგვარი რთული პოლიტიკური ილეთების გარეშე ჭაობის ზედაპირზე ამოიყვანა და ქართველ ხალხს თვალნათლივ დაანახვა ნაცმოძრაობის მმართველობის ძირითადი მანკიერება, რომელიც დაფუძნებული იყო უზნეობებზე, ზეტყუილზე, სიცრუეზე, ძალადობაზე და ამით ნაცპარტიას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, კრახის წინაშე დააყენა და არავითარი შანსი არ დაუტოვა მომავალში.



მთელ გადაცემებს უძღვნიან ბ.ივანიშვილს. პრაქტიკულად, ეს პიროვნება არ ჩამოდის მათი ეკრანიდან. ეს უბედურები იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამ უაზრო, პრიმიტიული პროპაგანდით პირიქით აპიარებენ ბ.ივანიშვილს, ხოლო როდესაც უმტკიცებენ საქართველოს მოსახლეობას, რომ მ.სააკაშვილი, ვ. მერაბიშვილი, გ. უგულავა და ძმანი მათი არიან ყველაზე პატიოსანი ქართველები, ხოლო ბ.ივანიშვილი ცუდია (თურმე ხეები გადარგო და მიითვისა), ამით მხოლოდ ახდენენ თავიანთ ამორალობასა და უზნეობას ადემონსტრირებენ, რითაც საბოოლოდ ძირს უთხრიან სწორედ თავიანთ პარტიას. ეს ვაიპოლიტიკოსები, ყოვლად უპრინციპო ვაიჟურნალისტებთან ერთად, ერთხელაც არ დაფიქრდებიან იმაზე, თუ რა გაუკეთებიათ მათ საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის ცალ-ცალკე და ყველას ერთად აღებულს, რაც ივანიშვილმა მარტო გაუკეთა ქვეყანას, რომლის პრეცედენტი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არ არსებობს (მარტო სამების ტაძარი რად ღირს!), ამ პიროვნებამ, „არაფორმალურმა მმართველმა“, პირველად ბოლო 25 წლის განმავლობაში, მთელი ოთხი წელი ქვეყანა აცხოვრა სიმშვიდეში, ყოველგვარი ომებისა და შიდა სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე.

კიკიმორა, უვიცი ჟურნალისტი კვესიტაძე დღენიადაგ არკვევს თავის რეპორტაჟებში, საიდან აქვს ფული ივანიშვილსო, მსმენელებს ამცნობს, თურმე წინათ „ცოლი“ ჰყოლიაო (ამაზე ეს „მორალისტი“ განსაკუთრებით ნერვიულობს),

რაც შეეხება „ოცნებას“, აქ საკითხი უფრო ცხადია — ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ სამი ძირითადი არჩევნები მოიგო საქართველოში ყოველგვარი ძალადობის გარეშე და ამჟამად ყველაზე მაღალი ლეგიტიმაცია აქვს. ამის მიუხედავად, მის ოპონენტებს ის კი არ აინტერესებთ, თუ როგორ მოიგო ყველა არჩევნები „ოცნებამ“, ამის ანალიზს კი არ აკეთებენ (რაც მათ ნამდვილად წაადგებოდათ), არამედ ისევ ცრუობენ, დადიან საზღვარგარეთ და ამტკიცებენ ბ.ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, პუტინის მეგობარია, თურმე პუტინმა მისცა 2 მილიარდი ბ. ივანიშვილს, რომ არჩევნები მოეგო. იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ ამ სერიული სისულელეებით და ტყუილებით მთელ ქართველ ხალხს აყენებენ შეურაცხყოფას. იქნებ ჰკითხონ მ. სააკაშვილმა, გაბუნიამ და სხვებმა ქართველ ამომრჩევლებს, რამდენი შეხვდა თითოეულს პუტინის ფული და სად ინახავენ ამ ფულს? დასანანინა, რომ ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსი ამ სიცრუეს იჯერებს, ალბათ, ასე აწყობთ, თორემ ამას სხვა ახსნა არა აქვს.

რაც შეეხება ბ.ივანიშვილის ფენომენს, იგი ქვეყნის ნამდვილი ლიდერი, ნამდვილი გურუა, ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია და მას, გარდა თავისი ქვეყნის სიყვარულისა, ამ პოლიტიკურ დაპირისპირებაში სხვა არაფერი არ ამოძრავებს. ამ კაცმა აბსოლუტურად სწორი გათვლა გააკეთა და სიმართლის ტალღაზე, რომელიც ასე სჭირდებოდა ქართველ ხალხს, ყოველგვარი რთული პოლიტიკური ილეთების გარეშე ჭაობის ზედაპირზე ამოიყვანა და ქართველ ხალხს თვალნათლივ დაანახვა ნაცმოძრაობის მმართველობის ძირითადი მანკიერება, რომელიც დაფუძნებული იყო უზნეობებზე, ზეტყუილზე, სიცრუეზე, ძალადობაზე და ამით ნაცპარტიას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, კრახის წინაშე დააყენა და არავითარი შანსი არ დაუტოვა მომავალში.

ბ. ივანიშვილის ფაქტორმა პოლიტიკაში კიდევ ერთხელ დაანახვა საზოგადოებას, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში პიროვნების ზნეობრივ თვისებებს? და ერთხელ კიდევ დაამტკიცა ცნობილი დისიდენტის, დიდი ინტელექტუალის, ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის სიტყვები **„პოლიტიკა და ზნეობა შეთავსებადია“** და თუ პარტიის ლიდერს კარგი ზნეობრივი თვისებები არა აქვს, ის პარტია განწირულია. **მარტო იმის ყვირილი (მ. სააკაშვილი), რომ მე ეს ხიდი ავაშენე, ეს გზა გავიყვანე, ეს რეფორმა გავატარე, საკმარისი არ არის ადამიანის სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თორემ მარტო ეს რომ ყოფილიყო საკმარისი, რაც ჰიტლერმა გერმანიაში ან სტალინმა რუსეთში ააშენეს ხალხი, ალბათ, მათ წმინდანებად შერაცხავდა.**

რაც შეეხება ნაცმოძრაობის დამოკიდებულებას ბ.ივანიშვილის მიმართ, მათ ბოლომდე ვერ გააცნობიერეს მისი ფენომენი და უნდა იცოდნენ, რომ რაც მეტს უსაფუძლოდ აკრიტიკებენ და ლანძღავენ მას, ამით პირიქით მის პოპულარობას უწყობენ ხელს. ხშირად ეს ასეც არის, რაზედაც შესანიშნავად მიუთითა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ინგლისის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა: **„ბოლო დროს შევამჩნიე, რომ პრესაში ჩემი კარიკატურები მცირდება, რაც დასანანია, რამდენადაც, ალბათ, ჩემი პოპულარობა ეცემაო.“**

ბოლოს, ჩვენი ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსების გასაგონად მინდა, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსის სერ უინსტონ ჩერჩილის ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდზე მოგახსენოთ: როდესაც იგი პირველად გამოვიდა ინგლისის პარლამენტში, მან საყოველთაო აღფრთოვანება დაიმსახურა, განსაკუთრებით იმით, რომ მას თავის ხანგრძლივ მოხსენებაში არც ერთი ინგლისური სალანძღავი სიტყვა არ უხმარია თავისი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. ცნობილია, უ. ჩერჩილი უგანათლებულესი პოლიტიკოსი იყო, ზედმიწევნით იცოდა ინგლისის ისტორია და ნობელის პრემია მიიღო არა როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, არამედ ლიტერატურის დარგში.

დაბოლოს, ეს წერილი მინდა, დავამთავრო ისევ ვაცლავ ჰაველის სიტყვებით: „მე კვლავ დარწმუნებული ვარ, პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე. ჩემი გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ პოლიტიკა და ზნეობა პრაქტიკულ ცხოვრებაში ურთიერთშეთავსებადია. ჩემი აზრით, პოლიტიკოსების მოღვაწეობა გულისხმობს დიდ პასუხისმგებლობას საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობაზე და მათი მოვალეობაა, გამოძებნოს, განავითაროს და გააბედნიეროს საზოგადოებაში ყოველივე საუკეთესო“..

საბედნიეროდ, ამის მაგალითი საქართველოში ჩვენ უკვე გვაქვს!

გაბრიელ მამარდაშვილი

მითხარით, ვინ არის თქვენი გურუ, და გეტყვით, ვინა ხართ თქვენ!

„მთავარში – ერთობა, სადავოში – თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში – სიყვარული!“

ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

ჩვენ ეს დიდი ქართული პროცესი დავიწყეთ. ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები ზოგადკაცობრიულთან.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია ურყევია: ჩვენ ამ საკითხებს არ მოვეშვებით და არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ თანამშრომლობა საჭიროა, დისკუსია აუცილებელია.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია – მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.

კაცობრიობის გამოცდილება, ცივილიზაცია, ზოგადად, ადასტურებს, რომ განვითარება დ ა პროგრესი, ეს არის ბუნების კანონების, ანუ სამყაროს განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ცოდნისა და მეცნიერული აღმოჩენების ერთობლიობა.

ისტორია ადასტურებს, რომ წარმატებულია ის ქვეყანა და იმ ქვეყნის მოსახლეობა ცხოვრობს კარგად, სადაც იციან მეცნიერების ფასი, სადაც ხელისუფლება ეყრდნობა მეცნიერებას, სადაც მეცნიერია პატივდებული. ამის ყველაზე თვალსაჩინო და კლასიკური მაგალითია დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.

ან ხელისუფლება უნდა გვყავდეს ასეთი, ანუ მეცნიერებაზე ორიენტირებული, ან მეცნიერებას, მეცნიერებს ჰქონდეთ იმის ძალა და პასუხისმგებლობა, რომ აიძულონ ხელისუფლება, იყოს ასეთი.

* * *

ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის 25-მა წელმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ყველასთვის სასურველი იყო. ნათელია, რომ საქართველო კატასტროფულად აგვიანებს, გახდეს სტაბილური სახელმწიფო, დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის პოტენციალის 10 პროცენტზე მეტის ამოქმედება, ქვეყნის გარეთ, ჩვენ გამუდმებით ან საომარ მდგომარეობაში, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ, ქვეყნის შიგნით – ხელისუფლების განდევნისათვის მუდმივ ბრძოლაში, რისი პრეცედენტიც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე ეტაპზე შევქმენით.

* * *

საჭიროა სისტემური გარდაქმნები, ვინაიდან უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის არამხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, თანდათან ვკარგავთ ეროვნულ დამოუკიდებლობას.

* * *

ქვეყნის წინაშე არსებული ურთულესი ამოცანების განხორციელებას მხოლოდ ხელისუფლება ან მხოლოდ პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ. დღეს ავანსცენაზე ის ადამიანები უნდა გამოვიდნენ, ვისი მეთოდიცაა მეცნიერული, სისტემური მიდგომა, მათ შორის რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ 25 წლის მანძილზე ხელისუფლებისთვის ბრძოლის ქუჩის პოლიტიკამ დაანგვიანა პოლიტიკური პარტიებიც და ხელისუფლებაც, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიღმა, საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობისათვის სწორად მოაზროვნე გაცილებით მეტი პოლიტიკოსია, ვინემ არენაზე მყოფ პოლიტიკურ პარტიებში.

* * *

უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადასარჩენად. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც არნახულად გაიზარდა გარე ძალების ზემოქმედება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, როცა გარედან, როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური, არნახული მხარდაჭერა აქვს იმ ძალებს, რომლებიც გამოირჩევიან ყალბი ეროვნული პათოსით, დემოკრატიის თამაშით, სოციალური დემაგოგიით, პოლიტიკური კორუფციით.

როცა ჩვენ ვფიქრობთ „ეროვნული თანხმობის პარლამენტზე“ სამართლიანობის გზით, ეს, უპირველესად, ნიშნავს:

- ხალხმა დაიბრუნოს პოლიტიკოსების მიერ მისთვის წართმეული ქვეყანა.
- შეცდომად და დანაშაულად შეფასდეს 1991 წლის შეიარაღებული დაპირისპირება და ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.
- გასამართლდეს დღემდე არსებული ყველა რეჟიმი, „ნაციონალურის“ ჩათვლით.
- ქვეყანაში იყოს არა ე.წ. ბელადებისა და ფულიანთა ძალაუფლება, არამედ ნიჭის ძალაუფლება.
- გარანტირებული იქნას: სიცოცხლის უფლება, განათლების უფლება, სიტყვის თავისუფლება, საკუთრების უფლება, მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ.
- დღეს არსებული ბრძოლა არსებობისათვის შეიცვალოს საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციით.

დღევანდელობის ოთხი უმძიმესი რეალური პრობლემა:

პირველი – მმართველი პოლიტიკური ძალის თვითკმაყოფილება;

მეორე – ოპოზიციის უკვე გამარგინალებასთან მიახლოებული გაბოროტება.;

მესამე – საზოგადოების ინდიფერენტულობა, ანუ საზოგადოებაში თითქმის ყველა უბედურების „მერე რა!“-თი გამართლების განწყობა;

მეოთხე – საზოგადოების ერთი ნაწილის არჩევნებზე არმისვლით ტრაბახი (დემოკრატიული სამყაროს გამოცდილება ადასტურებს, რომ სწორედ იმათ მოჰყავთ ცუდი მთავრობა, ვინც არჩევნებზე საკუთარი ხმის უფლებას არ იყენებს).

* * *

ქვეყნის ინტელექტუალური, გეოგრაფიული, ეკონომიკური პოტენციალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მოქმედებაში მოყვანის კანონზომიერებას, ლოგიკას არ ექვემდებარება არც ხელისუფლების ქმედებები, არც პოლიტიკური ძალების, არც ამერიკის შეერთებული შტატების, არც რუსეთის, არც ევროკავშირის ქმედებები საქართველოში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ქმედებები კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებზეა გათვლილი და არა საქართველოსა და მის მოსახლეობაზე, არა ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე.

მილიარდობით დოლარის დახმარებები მივიღეთ გარედან, კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს აღებული სესხების მოცულობა – შესაბამისი შედეგი არ ჩანს.

* * *

ფულის დარიგების პოლიტიკამ პროგრესი გაჩერა ქვეყანაში. ჩვენი ანალიზით, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ქვეყნის პოტენციალის მეათედიც კი ვერ მოიყვანა მოქმედებაში. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ან ცუდად, ან შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს. ქვეყანაში შექმნილია არაპროგნოზირებადი სიტუაცია.

* * *

ქვეყანას სჭირდება განვითარების ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი მეცნიერული პროგრამა.... ქვეყანას სჭირდება განვითარების ბიუჯეტი, 25 წელია, ყველა ხელისუფლების მიერ ხალხის სატყუარად შემოგდებული სოციალური ბიუჯეტის ნაცვლად.

მომავლის პრიორიტეტები

პირველი – განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია, მუშაობენ ამ პრობლემაზე;

მეორე – მეწარმეობის დაუცველად არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. ხელისუფლებამ მეწარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

იხ. 6-7-8 გვ.

ქვეყანას მართავს ხელისუფლება, ხელისუფლებას მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა!

საქართველო სავსეა ზნეობრივი ადამიანებით, საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ

გავედით ხალხში. ხალხში, მართლაც დიდი სიმართლეცაა, დიდი იმედგაცრუებაც და რაც ყველაზე ცუდია, უიმედობაც. ანუ ჩვენ უფრო დიდი პრობლემები გვაქვს, ვიდრე რასაც ტელევიზიებით საუბრობენ პოლიტიკური პარტიები არჩევნების წინ.

თუ ხალხს არ შეხვდი და გულახდილი საუბრის საშუალება არ მიეცი, ძნელია, წარმოიდგინო ის უმძიმესი დამოკიდებულება, რომელიც ხალხშია ყველა დონის ხელისუფალთა მიმართ, როცა ხალხმრავალ შეხვედრაზე ასეთს მოისმენ:

— „ჩვენ რომ სოფლის გამგებელი გვყავს, მთელი სოფელი რომ ჩამოგეარათ და ყველასთვის გეკითხათ, ვის ისურვებდითო — მისი გამგებლობა ერთ კაცსაც კი არ მოუვიდოდა აზრად“;

— „ჩვენ რომ რაიონის გამგებელი გვყავს, ამ რაიონის ცნობილი ასი მკვიდრისთვის რომ გეკითხათ, ვის ისურვებდით რაიონის ხელმძღვანელად — ერთი კაციც კი არათუ არ დაგისახელებდათ დღეს მოქმედს, არამედ კანდიდატთა ასეულშიც კი არ შეიყვანდნენ;

— „ჩვენ რომ რაიონის საკრებულო გვყავს, გვაფიქრებს, ნუთუ ჩვენ ავირჩიეთ ეს ხალხი?!“

მძიმეა, რაც ვთქვით. აღარ ვთქვით ის, რაც დეპუტატზე გვითხრეს (არ გვინდა განწყობა სრულად გაგიფუჭოთ). მაგრამ ეს რომ ერთ სოფელში მოგვესმინა, კიდევ არაფერი. ასეთი სურათია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს არ ეხება მხოლოდ დღევანდელ ხელისუფლებას. ხალხი სწორედ იმით არის შეწუხებული, რომ ქვეყნის მასშტაბით სახელისუფლებო ცვლილებებს ადგილებზე პრაქტიკულად არაფერი შეუცვლია.

ეჭვი არ გვეპარება, რომ როგორც სოფლების და რაიონების, ქალაქებისა და მხარეების თავკაცებში და სხვადასხვა დონის საკრებულოებში არიან კარგებიც — საქმისთვის მომართულნიც, მაგრამ მათ სისტემა კლავს, მათ პროტექციითა და სხვათა გავლენით დანიშნულნი, თუ რეკომენდირებულნი ეუფროსებიან.

არ გვინდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ხალხში უმადურობაა, პირიქით, ამ გაჭირვების ფონზე, მადლიერება გაძლიერებულია. ხალხი იხსენებს ყველა პიროვნებას, ვისაც უკანასკნელი წლების თუ ათწლეულების განმავლობაში კეთილი საქმეები გაუკეთებიათ. ყველა რეგიონშია ეს განწყობა, მაგრამ სამეგრელოში განსაკუთრებულად ვიგრძენით. ოცამდე ყოფილი ხელმძღვანელი დაგვისახელეს, ბატონი **ოთარ ფაცაციათი** დაწყებული — ბატონი **ბონდო ჯიქიათი** გაგრძელებული და ბატონი **ნუგზარ მალაშხიათი** დამთავრებული... ამაზე სხვა დროს.

ერთი უაღრესად პოზიტიური რამ დავინახეთ, რაც ძალიან დამაფიქრებელი და ჭკუის სასწავლებელია. ზესტაფონში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თხუთმეტამდე ცნობილ ზესტაფონელს ვთხოვეთ, შეესწავლათ ხალხის აზრი და გადმოეცათ ჩვენთვის ათი ადამიანის სია, ვისაც ისინი ისურვებდნენ დეპუტატად თუ რაიონის ხელმძღვანელ რგოლებში. თეორიულად შეიძლებოდა ასორმოცდაათი ადამიანი დასახელებულიყო, მაგრამ წარმოდგენილი სიების შეჯერებით, სულ თხუთმეტი ადამიანის სია მივიღეთ. არც ერთი არ დაემთხვა ხელისუფლების მოსაზრებას. ჩვენ ამის თაობაზე სხვა დროს დეტალურად ვისაუბრებთ. დღეს კი ზესტაფონელთა მაგალითზე დაყრდნობით, გამოკვეთილად ვამბობთ, ბედნიერი ვიქნებით, ვინმეს ხათრით და პროტექციით კი არა, სწორედ ხალხის აზრის გათვალისწინებით შევარჩევთ ადამიანებს.

ყველგან გამოთქვეს წუხილი იმის გამო, რომ პარლამენტარებს აკლიათ გამოცდილებაც, ხალხთან ურთიერთობის კულტურაც, პროფესიონალიზმიც. ხალხი გვეუბნება: ნუ შეგვაძულებთ ჩვენს საყვარელ მსახიობებს, სპორტსმენებს, ხელოვნების მოღვაწეებს... მათ ხელოვნებასა და სპორტში შეუძლიათ აკეთონ გაცილებით დიდი ეროვნული საქმეები, ვიდრე პარლამენტში მათი ყოფნით. გვეუბნებიან: **პარლამენტს ძირითადში სჭირდება იურისტები, დიპლომატები, ეკონომისტები, ფინანსისტები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები**.

საერთო განწყობა დავინახეთ მეცნიერებით დაწყებული, გამოჩენილი ადამიანებითა და ხალხით დამთავრებული, რომ სასურველია პარლამენტში იყვნენ დღეს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული იურისტები: ბატონები **მინდია უგრეხელიძე** და **ლადო ჭანტურია**. უამრავი ადამიანის კეთილი განწყობა ვნახეთ ცნობილი იურისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების: **ლია მუხაშავრიას, თედო ნინიძის, სოსო ბარათაშვილის, გია მეფარიშვილის, გელა ნიკოლეიშვილის მიმართ**.

ჩვენ მომავალში კიდევ შემოგთავაზებთ არაერთი ცნობილი და გამორჩეული იურისტის გვარს, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში კეთილი განწყობაა.

ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ უამრავი ადამიანი გვირჩევს, სერიოზულად ვიფიქროთ ბაგრატოვანთა გვარის, მსოფლიოში აღიარებული წარმომადგენლის, **ბატონიშვილ ქეთევან ბაგრატიონ-ორსინის** დიდ ქართულ პოლიტიკაში ჩართვაზე. ასეთივე რეკომენდაციები მოგვცეს ამჟამად გაეროში მოღვაწე **დავით ჩიკვაიძის,** ცნობილი

დიპლომატის, აშშ-ში, რუსეთსა და გაეროში ყოფილ ელჩზე, მაღალი რანგის და კულტურის დიპლომატზე, ბატონ **პეტრე ჩხეიძეზე** და ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრზე **ირაკლი მენაღარაშვილზე**. ჩვენ შემდგომშიც წარვუდგენთ საზოგადოებას არაერთ დიპლომატს, რომელთაც დიდი ავტორიტეტიც აქვთ და საერთაშორისო აღიარებაც.

სამეცნიერო წრეებში გვირჩევენ, ხალხის მხარდაჭერაც აქვთ, სტუდენტთა აღიარებაც, როგორც წარმატებულ მეცნიერ-ეკონომისტებს და კარგ ორგანიზატორებს, ბატონებს: **ავთანდილ სილაგაძეს, ვლადიმერ პაპავას, მერაბ კაკულიას, მიხეილ ჯიბუტს, დავით იაკობიძეს, ელგუჯა მექვაბიშვილს, ზურაბ რევიშვილს**... ბევრი კარგი და საიმედო მოვისმინეთ ახალგაზრდა დოქტორის **ვახტანგ ჭარაიას** მიმართ. როგორც ქვეყანაში, ასევე ქვეყნის გარეთ, პროფესიონალისა და ორგანიზატორის კარგი რეპუტაციით სარგებლობენ ბატონები: **ირაკლი მანაგაძე** და **ირაკლი კოვზანაძე**.

საქართველოს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ინტელექტისა და მიწის ქვეყანას. პარლამენტში სწორედ ინტელექტუალები, კონკრეტული საქმის კარგად მცოდნენი და პოლიტიკურად საიმედოდ მომართულნი უნდა იყვნენ. ჩვენ მხოლოდ ასეთ ადამიანებზე ვსაუბრობთ და ვისაუბრებთ მომავალში. ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა იმ მეცნიერული მიღწევებით და იმ მეცნიერებით, რომლებიც საქართველოს ჰყავს სოფლის მეურნეობის ხაზით.

უამრავი ქვეყანა, გარდა საქართველოსი, დაინტერესდა იმ მიღწევებით, რომელიც აქვს პროფესორ **რამაზ გახოკიძეს**.

სამეცნიერო წრეებსა და სტუდენტობაში, დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და ყველა მიიჩნევს, რომ არ არის გამოყენებული ისეთი მეცნიერების პოტენციალი, როგორებიც არიან: **ავთანდილ კორახაშვილი, თენგიზ ყურაშვილი, ცოტნე სამადაშვილი, ზვიად ბობოქაშვილი, ანატოლი გიორგაძე, გიორგი გაგოშიძე, კახა ყრუაშვილი, რევაზ ასათიანი, ნუგზარ ბაღათურია, ალექსანდრე დიდებულიძე, არჩილ ვაშაკიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, რევაზ ჯაბნიძე, პაატა კოღუაშვილი, თენგიზ ურუშაძე, ელგუჯა შაფაქიძე, ომარ ქეშელაშვილი, ჯემალ გუგუშვილი**. დამაფიქრებელია, რომ ამ ადამიანებს ვერც სახელისუფლებო შეხვედრებზე ვხედავთ, ვერც ტელევიზიაში, იშვიათად არიან პრესის ფურცლებზეც, აღარაფერს ვსაუბრობთ სახელისუფლებო რგოლებში მათ წარმოდგენაზე. უარესი პარადოქსი რა უნდა იყოს, რომ გყავდეს სოფლის მეურნეობის ხაზით მაღალი რანგის სპეციალისტები და კარგი ორგანიზატორები და საქართველოში, მიწის ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სამინისტროში, არც მინისტრი და არც მისი რომელიმე მოადგილე, არ იყოს სოფლის სპეციალისტი. ქვედა რგოლებშიც უმძიმესი მდგომარეობაა.

ეს იმის გამო ხდება, რომ **საარჩევნო სიებს ადგენენ პოლიტიკური პარტიები, ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერები. ამ გზამ ჩიხში შეგვიყვანა. ხელისუფლებაში, პოლიტიკურ ელიტაში ნაკლებად უყვართ ძლიერები, უფრო სწორად, ვერ იტანენ მათზე უკეთესს. ეს კატასტროფაა.**

ჩვენ მართლა, სხვა გზა უნდა ავირჩიოთ. სიები უნდა შედგეს მხოლოდ ხალხთან და საზოგადო მოღვაწეებთან დიდი მოთათბირების საფუძველზე.

ჩვენთვის უპირველეს კრიტერიუმთა შორისაა რეპუტაცია, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ქართული ცნობიერება შერწყმული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან.

ჩვენ სამარცხვინოდ ვთვლით დღემდე დამკვიდრებულ ასაკობრივ გრადაციას და ვამბობთ ქართულად: **ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი.**

ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პარტიიდან პარტიაში მორბენალ მედროვეებზე, ყველას და ყველაფერს რომ ერგებიან, მრავალპარტიელებზე...

ჩვენ უნდა დავაფასოთ გამოცდილი ადამიანები. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები, **ზვიად გამსახურდიას** გარემოცვაშიც, **ედუარდ შევარდნაძის** პერიოდის პარლამენტშიც, **ასლან აბაშიძესთან, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც,** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა. მაგრამ რამდენიმე პირობით, მხოლოდ ისინი, ვინც:

- ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;
- არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნის დროს;
- სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა;
- დღესაც აქვს დიდ და კეთილ საქმეთა კეთების რესურსი.

სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებითაა დასახელებული ყველა პიროვნება ზემოთ. ხალხი სწორად ფიქრობს, ნებისმიერის, იქნება ეს ხელოვანი, სპორტსმენი თუ ექიმი, არჩევა შეიძლება. მთავარია, იყოს ორგანიზატორი, ჰქონდეს პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება, სწორი პოლიტიკური ხედვა.

ხალხმა გაგვახსენა რამდენიმე გვარი... გვითხრეს, ამ ხალხზე რატომ არ ფიქრობთო. ჩვენ მათ შესახებ მომავალშიც ვისაუბრებთ. მაგრამ დღეს მხოლოდ ოთხს შევეხებით: **ენვერ ნიჟარაძე, ვალერი ასათიანი, ვახტანგ ქუთათელაძე, დავით სალარიძე**. ყველა თვლის, რომ ისინი გამოკვეთილი ფიგურები არიან, როგორც პროფესიონალები და ორგანიზატორები. მათ აერთიანებს ერთი დიდი ღირსება: უკადრებელი აკადრეს ხელისუფლებმა, მაგრამ არ გაბოროტდნენ.

ენვერ ნიჟარაძე - ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი, წარსულში კარგი ფეხბურთელიც, არაერთი ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო მისი პოზიციით, მაგრამ ყველამ იცოდა მისი ფასი, როგორც პოეტისა და მოღვაწის. მას უდიდეს პატივს მიაგებდა ჟიული შარტავა. მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირის მდივნობა შესთავაზა. იყო ჟურნალების „დილა“ და „ცისკრის“ რედაქტორი. ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით ქვეყნის ვიცე-პრემიერად აირჩიეს. სამხედრო გადატრიალების შემდგომ, ბოლო წლებამდე გერმანიაში ცხოვრობდა დევნილის სტატუსით. გყავს ასეთი კაცი და ყველაფერს არ აკეთებდე იმისათვის, რომ გამოიყენო ეს უნიკალური გამოცდილება, ეს არც ქართულია, არც კაცურია, ეს დანაშაულია.

ის რაც **ვალერი ასათიანს** სააკაშვილის ხელისუფლებამ გაუკეთა, მარტო ეს იყო საკმარისი, ამ ხელისუფლების გასასამართლებლად. ვალერი ასათიანს, როგორც გამოცდილ კაცს, გამორჩეულ მეცნიერს და კარგ ორგანიზატორს, ხალხი, განსაკუთრებით კულტურის მოღვაწეები გვახსენებენ. თვითონ არაფერს ითხოვს... რჩევა მაინც ჰკითხეთ ასეთ ადამიანებსო, ეუბნებიან ხელისუფლებას.

ეროსი კიწმარიშვილმა მის ტრაგიკულ სიკვდილამდე ღირსეული აღიარება გააკეთა: „რუსთავი-2“-ის და ჩვენს სინდისზეა, რომ ღირსეული კაცი **ვახტანგ ქუთათელაძე** შევიწირეთო. ბატონი ვახტანგი იყო პირველი, რომელმაც საზოგადოებას გვითხრა, რომ „რუსთავი-2“ უბედურებას მოუტანდა ხალხს და ქვეყანას. შევარდნაძემაც გაწირა იგი მაშინ.

ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება

დავით სალარიძეს ვაკის რაიონში საპარლამენტო არჩევნები პრაქტიკულად მოგებული ჰქონდა, როცა შევარდნაძემ ხალხთან შეხვედრაზე მიიყვანა მიხეილ სააკაშვილი და უთხრა „ეს კაცი უნდა იყოს თქვენი დეპუტატიო“. მერე ავთანდილ ჯორბენაძემ აღიარა, რომ არჩევნები სააკაშვილის სასარგებლოდ გააყალბეს.

უამრავი ადამიანია დღეს, რომელთაც უმძიმესი განსაცდელი მოუწყვეს ხელისუფლებებმა. მათ მიმართ საზოგადოებაში შეიძლება სხვადასხვა აზრი იყოს, მაგრამ როცა ადამიანი ერევა საკუთარ თავს, უძლებს განსაცდელს, არ ბოროტდება, ეს დასაფასებელია. მით უფრო, როცა მაღალი რანგის პროფესიონალებთან და ორგანიზატორებთან გვაქვს საქმე.

ჩვენ უაღრესად საიმედოდ გვესახება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის ერთი ჯგუფის გადაწყვეტილება, შევიკრიბოთ და გავაანალიზოთ მდგომარეობა. ნუთუ ჩვენ ასეთი საქართველოსთვის ვიბრძოდით. რატომ დაიწყო პოლიტიკური თამაში პირველი პარლამენტის ბევრმა წევრმა. რატომ მიატოვა დასავლეთმა და ამერიკამ ეროვნული ძალები ქვეყანაში. რა მოხდა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პრაქტიკულად, ომი სწორედ ეროვნულ ძალებს გამოუცხადეს, ეს და ბევრი სხვა საკითხია, რომელთა ანალიზი მომავლის საქართველოსთვის საჭიროა, სწორედ ამიტომ, შეიქმნა ამ შეხვედრების საორგანიზაციო-საინიციატივო ჯგუფი ბატონების — **თამაზ ყურაშვილის, ტარიელ ფუტკარაძის, თემურ შაშიაშვილის, ნუგზარ შავთვალაძის, ალექსი არაბულის, იური ბურკაძის, ალექსანდრე ვარძელაშვილის, დავით კუპატაძის, მურმან მზარელუას, ნუგზარ პარუნაშვილის, ნუგზარ მგალობლიშვილის, ნიაზ ბოლქვაძის, გელა გოგოლაძის, ანზორ საკანდელიძის, ლადო რამიშვილის** შემადგენლობით.

დრომ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტში იყვნენ ღირსებით სავსე ადამიანები, რომელთა უმრავლესობა განერიდა პოლიტიკას სწორედ იმის გამო, რომ ზნეობის სერიოზული დეფიციტი გაჩნდა პარტიებში. ჩვენ, თქვენთან ერთად, ხალხთან ერთად გვინდა გავაანალიზოთ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტის შემადგენლობა.ვეძებოთ მომავლისთვის საჭირო ადამიანები. არ იქნება ცუდი, თუ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პარლამენტის ხუთ-ხუთი წევრისაგან შეიქმნება ასამბლეა, რომელიც მიზნად დაისახავს, დაეხმაროს ეროვნული განწყობის და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის გაძლიერებას ქვეყანაში. **სასურველია, რომელიმე ტელევიზიით (კარგი იქნება თუ მეორე არხზე) რეგულარულად იქნება გადაცემული ასამბლეის სხდომები.** ეს ჩვენ თაობათა ერთიანობისთვისაც და პოლიტიკური მემკვიდრეობითობის ტრადიციის დამკვიდრებისთვისაც დაგვჭირდება მომავალში.

ჩვენი პოზიცია მყარია: **ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს! ეს არ ნიშნავს ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან. ასე იყო და ასე იქნება, თუ ავირჩევთ არა ლაპარაკით, არამედ აზროვნებით ქართული ცნობიერების ადამიანებს, თუ უარს ვეტყვით ურაპატრიოტებსაც და გლობალისტებსაც.**

ჩვენ უნდა გვინდოდეს, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკულმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ამ ადამიანების გამოცდილება. ქვეყანაც გამთლიანდება მათი პარლამენტში ყოფნით და წარმოუდგენლად გაიზრდება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ 2 მილიონზე მეტი ადამიანის სახელით უნდა შევძლოთ ისეთი ადამიანების პოლიტიკურ არენაზე გამოყვანა, რომელთაც:

- კარგი კონტაქტები აქვთ იმ ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან;
- დიდი ავტორიტეტი აქვთ ქართულ დიასპორაში;
- კარგი რეპუტაციით სარგებლობენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

ქვეყნის გარეთ უდიდესი შესაძლებლობების ადამიანები ჰყავს საქართველოს. საუბარია როგორც ინტელექტუალურ პოტენციალზე, პოლიტიკურ პოტენციალზე, როგორც ადამიანურ, ასევე ფინანსურ რესურსებზე.

ერთ მაგალითს მოვიყვანთ: სტამბულთან ახლოს ისეთივე ფუნქციით, როგორც წყნეთია თბილისისთვის, გაშენებულია წყნეთზე ათჯერ დიდი ქალაქი — აჯარკენტი. ეს ქართველმა კაცმა გააკეთა. მას უდიდესი ავტორიტეტი აქვს თურქეთში და არა მარტო. დიდ ქართულ საქმეებს უდგას სათავეში. პატრონობს ქართულ წიგნთსაცავს, სადაც უნიკალური სიმდიდრეა, უძველესი წიგნების სახით. სტამბულის ცენტრში აშენებს ქართული კულტურის ცენტრს, რომლისთვისაც ასეულობით მილიონ დოლარს იღებს. მას თბილისში, კრწანისში ჰქონდა გათვალისწინებული უნიკალური პროექტით ასეთი ქართული ქალაქის მშენებლობა. მილიონობით დახარჯა, მოვიდა სააკაშვილის ხელისუფლება, წაართვა პროექტი, ქალაქი არ აშენდა. უამრავი პიროვნება მოიწვიეს თურქეთიდან, ყველანაირი პირობები შეუქმნეს, მაგრამ ქართული განწყობის კაცს არაფრის გაკეთების საშუალება არ მისცეს. საქართველოს მოქალაქეობა მისცეს არაერთს, რომელსაც არავითარი კავშირი საქართველოსთან არ ჰქონია, უარი უთხრეს უამრავს ქართული წარმომავლობით, მათ შორის ბატონ ისმეთ აჭარს, რომელსაც გვარი მისი წარმომავლობიდან გამომდინარე აქვს აღებული და მის მიერ აშენებული ქალაქიც ამ სახელწოდებითაა.

ასეთი შესაძლებლობის და ქართული განწყობის უამრავი ადამიანია ქვეყნის გარეთ, რომელთაც დღემდე ვერ შეძლეს ქვეყანაში სასიკეთო საქმეების კეთება. ჩვენ მათ შესახებ მომავალში ვისაუბრებთ.

თურქეთშივე ცხოვრობს **მევლუდ ართვინელი,** ბრწყინვალე მოქართულე, ქართულად მომართული კაცი. დიდი გამოცდილებით. თურქეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან ურთიერთობით, ეს კაცი ხელმძღვანელობს ქართული კულტურის ცენტრს, იცავს ქართველთა და საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს თურქეთში. იყო ერთ-ერთი ინიციატორი თურქეთის ხელისუფლების უნიკალური გადაწყვეტილებისა, სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღების თაობაზე. კარგი იქნებოდა, თურქეთში მცხოვრებ მილიონობით ქართველს ასეთი წარმომადგენელი ჰყოლოდა საქართველოს პარლამენტში.

ჩვენ შევძელით ოცამდე ქვეყანაში, სადაც ისტორიულად, ბედის უკუღმართობის თუ საკუთარი და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად ათასობით ქართველი ცხოვრობს, დაგვეწყო იმ ხალხის მოძიების პროცესი, რომლებიც სწორედ ზემოთ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

ჩვენ ძალიან გვჭირდება რეალური ამერიკის, რეალური რუსეთის, რეალური თურქეთის, რეალური გერმანიისა და საფრანგეთის, საერთოდ, ევროპის ყველა ქვეყნის ღრმად მცოდნე და იმ ქვეყანაში ავტორიტეტის მქონე საქართველოს მოქალაქეები. საბედნიეროდ, ასეთები ბევრი გვყავს. მათი უმეტესობა თვალებში არავის ეჩრება და არავის არაფერს არ თხოვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვეძებდეთ და არ ვპოულობდეთ ასეთ ხალხს. ჩვენ ამ კუთხით სერიოზულად ვმუშაობთ და დღევანდელი გაზეთის საშუალებით, მივმართავთ საზოგადოებას, ჩავერთოთ ამ პროცესში. გვირჩიეთ ასეთი ადამიანები.

დღეისთვის ვიცით, რომ აშშ-ში ჩვენ გვყავს ერთ-ერთი საინტერესო მეცნიერი, ბატონი **შოთა ვაშაკიძე,** რომელიც წლების განმავლობაში ეხმარება ქართველ ახალგაზრდებს განათლება მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკაში ცხოვრობს ახალგაზრდა კაცი **მანუჩარ კაჭახიძე,** ის განსაკუთრებული ბიოგრაფიის კაცია. ხუთ ტყუპ ძმას დაეღუპა მშობლები და მცირეწლოვნებმა საკუთარი შრომის ფასად, თავიც გადაირჩინეს და ყოველთვის ქართულ საქმეებთან არიან დაკავშირებული. მანუჩარმა ქართული გაზეთი დააარსა ამერიკაში, შექმნა კულტურის ცენტრიც. ეწევა დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას. რადგან პატრონი არ ჰყავს, ასეთი კაცით არ უნდა დავინტერესდეთ? აშშ-ში სათვისტომოს ხელმძღვანელობს საინტერესო ახალგაზრდა კაცი **ნიკოლოზ ჩხეიძე.** ამერიკაშივე თავის ყოფილ სტუდენტებთან ერთად წარმატებული კაცია ბატონი **დიმიტრი ტვილდიანი.**

ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ შექმნაშია

ამერიკაში და დასავლეთში უამრავი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომელთაც დაამთავრეს საქართველოში, გაგრძელეს სწავლა უცხოეთში, გახდნენ წარმატებულნი, მათ მიმართ ყურადღება ნაკლებია. გაცილებით მეტი პოლიტიკური ფასი ორი-სამთვიან კურსებდამთავრებულებს აქვთ საქართველოში. ეს სიმახინჯეა.

წარმოუდგენელი ფაქტი გახდა ჩვენთვის ცნობილი — თურმე ყოველწლიურად, რუსეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში 150-200 ახალგაზრდა მიდის საქართველოდან სპეციალური ლიმიტით. ამის შესახებ არავინ საუბრობს. თუ კარგია, რატომ არ ვამბობთ და თუ ცუდია, რატომ არ ვზღუდავთ.

საერთოდ, საქართველოს ძლიერი ინტელექტუალური გუნდი ჰყავს რუსეთში. პირდაპირ ვთქვათ, აბსოლუტურად გამოუყენებელი. ქართველი პოლიტიკოსები ფულიანებს უფრო დასდევენ რუსეთში, ვიდრე კონტაქტობენ ამ ინტელექტუალურ ელიტასთან. ჩვენ ძალიან გვჭირდება რუსეთში მცხოვრები მეცნიერების, კულტურის მოღვაწეების, სამედიცინო ინტელიგენციის, ცნობილი სპორტსმენების შესაძლებლობათა გამოყენება ქართულ-რუსულ ურთიერთობათა საქართველოსთვის სასარგებლოდ მოწესრიგების საქმეში.

წლების განმავლობაში, მოსკოვის ვიცე-მერად მუშაობდა **იოსებ ორჯონიკიძე.** ყველას აზრი ერთია, რომ მასშტაბურად მოაზროვნე კაცია უდიდესი გამოცდილებით. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ახალგაზრდობის ერთ ჯგუფთან წაიკითხა ლექცია მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ახალგაზრდებმა ასეთი დასკვნა გააკეთეს: სირცხვილია, ამ მასშტაბის პიროვნება რომ ათწლეულებია, შესაბამისად დაფასებული არ არის საქართველოში. სამწუხაროა ისიც, რომ უარს ამბობს ლექციების წაკითხვაზე უმაღლეს სასწავლებლებში. ამ კაცს საქართველოს არც ერთი ხელისუფლება არ წყალობდა და რუსეთის ხელისუფლებამ კი 2008 წლის მოვლენებს შეწირა. კარგია რომ მის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა.**

რუსეთში მოღვაწეობს **დავით მორჩილაძე.** იგი უკვე ეკოლოგიის ხაზით, მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული პიროვნება გახდა. საქართველოში „თბილგაზის“ ხელმძღვანელად იყო მოწვეული ბატონ ზურაბ ჟვანიას მიერ. მისი გარდაცვალების შემდგომ, დევნა დაუწყეს. გვყავს ახალგაზრდა კაცი, წარმატებული მეცნიერი და ორგანიზატორი. არ უნდა მოვიკითხოთ?

ადამიანის უფლებათა ხაზით, საერთაშორისო მასშტაბით, ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება გახლავთ პროფესორი **ასლან აბაშიძე.** მსოფლიოს ოც ქვეყანაში მისი დიპლომატები არიან პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და მინისტრები. მისი სამეცნიერო ლიტერატურა თარგმნილია რამდენიმე ენაზე (გარდა ქართულისა). არ ვიცით, რის გამო ვიწუნებთ ამ ახალგაზრდა კაცს. გვარის და სახელის, თუ იმის გამო, რომ მოსკოვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კათედრის გამგეა. ქართული განწყობის საინტერესო პიროვნება რომ არის, ეს კი ვიცით.

უამრავ რამეს გაიგონებთ და წაიკითხავთ პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიასთან** დაკავშირებით. ვერავინ უარყოფს მის დიდ ქართულ განწყობას, განათლებულობას, რუსეთის კარგ ცოდნას.

მსოფლიოში არის თორმეტი კოსმოსური ცენტრი. ერთმაც რომ არ დაუჭიროს მხარი, ვერც ამერიკა, ვერც რუსეთი, ვერც ჩინეთი და ვერც ერთი ქვეყანა კოსმოსურ რაკეტას ვერ გაუშვებს. ერთ-ერთ ასეთ ცენტრს აკადემიკოსი **მინდია სურგულაძე** ხელმძღვანელობს. მას მთელ მსოფლიოში იცნობენ, საქართველოში — აღარ!

უკრაინაში გვყავს ავტორიტეტული კაცი, როგორც მეცნიერი, როგორც მოღვაწე როგორც პოლიტიკურად მოაზროვნე პროფესორი **გიორგი სიგუა.** ბელორუსიაში გვყავს იქაურ სახელისუფლებო წრეებში მიღებული მეცნიერი და მეწარმე ბატონი **ქართლოს კობეშავიძე.** ჩეხეთში გამორჩეული პიროვნება, მოჭადრაკე **ნანა იოსელიანი** — გამორჩეული პოლიტიკური პოზიციით. ჩვენთვის აღმოჩენა გახლდათ ცნობილი სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში — **გურამ გედეხაური.** დახვეწილი პოლიტიკური კულტურით, საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი სპორტსმენი და მოღვაწე. კაცი, რომელმაც თავის დროზე უარი თქვა, ყოფილიყო გარდაბნის რაიონის გამგებელი და მოადგილე, თუ საჭიროა, ჩემს სოფელში ვიქნები გამგებელიო და დაბრუნდა სართიჭალაში. ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც კეთილად რომ იხსენებს.

* * *

ჩვენ ასეთი ადამიანების წარდგენას გავაგრძელებთ. დეტალურად ვილაპარაკებთ იმ ხალხზე, ვის მიმართაც საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში იმედიანი და კეთილი განწყობაა. ვილაპარაკებთ ასეთ ადამიანებზე უცხოეთის ცალკეული ქვეყნების მიხედვით. ხალხი გვყავს, არ გვივარგა მართვის სისტემა. ჩვენ გვჭირდება სისტემა, რომელიც ეძებს კარგ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, მათ ჰყავთ ე.წ. პატრონები თუ არა.

განვლილმა პერიოდმა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი დაგვარწმუნა, რომ ხალხთან ურთიერთობის გულწრფელი სისტემაა ჩამოსაყალიბებელი. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პოლიტიკოსები ელაპარაკებიან თავიანთი პარტიის წევრებს და არა ხალხს. პარტიის წევრები კი იმას ეუბნებიან, რაც მათ სიამოვნებს. თუ გვინდა ძლიერი ქვეყანა, მწარე სიმართლე უნდა გვერჩიოს ტკბილ ტყუილს. ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება. მეორე დროებითია, პირველი — მუდმივი.

P. S. მომდევნო ხუთშაბათს ტელეკომპანია „ქართული ტვ“-ს ეთერით, ხოლო მომდევნო პარასკევს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით გავაგრძელებთ სიის გამოქვეყნებას.

იხ. 8 გვ.

26 დუმილი დღეს ქვეყნის ღალატია, საკუთარი ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

დავიხსნათ თავი გარედან მართვისაგან!

(მეხუთე გვერდიდან)

მომავლის პრიორიტეტები

მესამე — კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

მეოთხე — ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამას გარე სამყაროსთან ურთიერთობისა — ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

მომავლის საქართველოსთვის

● **ჩვენ გვინდა** არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირება, არამედ მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებულად მონაწილეობა და არა სხვისი კარნახით, რაც მთავარია — თვითმყოფადობის შენარჩუნება

● **ჩვენ გვინდა** არა უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვიკარნახებენ, არამედ რეალურად ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა

● **ჩვენ გვინდა** ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და სიძლიერე შინ და გარეთ“

● **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად, ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

● **ჩვენ გვინდა** სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით.

● **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა **დავით აღმაშენებელმა** შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანგრეველი მოდელი — საქართველო ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა). ჩვენი ამოცანაა, საქართველო გადავაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა. .. გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები. საქართველოს მსახური ცუდი ხელისუფლებაც კი ათასგზის სჯობს გარედან მართულ და გარედან ნაქებ-ნადიდებ ხელისუფალთ!

არც სამართლიანობა და არც ერთობა იქნება, თუ ძველმოდურად გავაგრძელებთ სახელმწიფო კაცების, მოღვაწეების, წარმატებული ბიზნესმენების ნებით, ხათრით თუ იძულებით პარლამენტში შეყვანას. ეს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება და მათი შეურაცხყოფა უფროა, ვინემ დაფასება. დავაკვირდეთ, პარლამენტში შესული ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეები ღირებულ პარლამენტარებად ვერ ჩამოყალიბდნენ, ხელოვნებამ და სპორტმა კი ამით ბევრი დაკარგა. ვხედავთ, როგორ ძლიერდება ხალხში ნეგატიური დამოკიდებულება პარლამენტში შესულ ბიზნესმენთა მიმართაც.

ერთობა არის იმ ქვეყანაში, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება, სადაც პატივს მიაგებენ ძლიერს და იცავენ სუსტს, სადაც მასწავლებელი, ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლები და მეწარმე ჰყავთ ხელისგულზე და ფეხქვეშ ეგებიან, უვლიან და ეფერებიან ბავშვს, ახალგაზრდობას.

გენიალურად თქვა მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებელმა დიმიტრი უზნაძემ: „...**გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“**

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი მადლობით მიმართავს ტელევიზია „ქართულ ტვ“-ს ამ პოზიციისთვის

ტელევიზია „ქართული ტვ“-ს გადაწყვეტილება

ჩვენი პოზიცია ჩვენს ემბლემაშივეა

ჩვენ ხელი მოვაწერეთ „მოქმედების მანიფესტს — ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, რომელშიც გამოკვეთილად ითქვა დღევანდელობის ერთი მძიმე სიმართლე:

„საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები“, და ეს მიჩნეულია ქართული აზროვნების გასაჭირად.

„ქართული ტვ“ დააფუძნა ჯარისკაცის მამამ რეზო ჩხეიძემ და ორი წლის წინათ, ღვთისმშობლობას, სამების საკათედრო ტაძარში, საჩუქრად გადასცა სრულიად საქართველოს.

ტელევიზიის სათავეებთან დგანან საქვეყნო კაცები: მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი.

ჩვენ ვართ სააქციო საზოგადოება, ამჟამად ათასზე მეტი აქციონერით და მთავარი პრინციპით, რომ არ შეიძლება ერთი პირონვნება 4 პროცენტზე მეტ აქციას ფლობდეს. ჩვენი აქციონერები სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის და, ალბათ, სხვადასხვა პარტიების წევრები, მხარდამჭერები ან გულშემატკივრები არიან.

სწორედ ამიტომ, ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ რომელიმეს მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგე, მით უფრო, რომ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დამანგრეველს ვუწოდებთ დღევანდელ საქართველოში პარტიების კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად დაყოფას.

ამიტომ ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, ყველა საარჩევნო პოლიტიკურ სუბიექტს შევუქმნათ ერთნაირი პირობები — ყველას მივცეთ საშუალება, თავისი სათქმელი უთხრას ხალხს.

ჩვენთვის, ქართული ერთობა უპირველესი და უმთავრესია!

სააქციო საზოგადოება „ქართულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
რომან რურუა

სააქციო საზოგადოება „ქართულის“ დირექტორი
ალექსანდრე ოჩიგავა

ტელევიზია „ქართულის“ გენერალური პროდიუსერი
მანანა ნოდია

სად ვუყურით ტელევიზიას „ქართული TV“

ამ ეტაპზე გადაცემების ნახვა პირდაპირ ეთერში შესაძლებელია ფრანგულ თანამგზავრზე Eutelsat at 36.00: „silknet“-ზე, „Super-TV“-ზე, myvideo-ზე“ „ქართული ერთობის დარბაზისა“ და ტელეკომპანია ქართულის ვებ გვერდზე: qedi.qtv.com.de და qtv.com.ge.

პერსპექტივა

მიმდინარეობს მუშაობა საკაბელო არხებთან. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო პერიოდში ყველა გამავრცელებელი ვალდებულია, ჩართოს სატელიტზე განთავსებული ტელეკომპანიები. დარწმუნებული ვართ, გვექნება მათი მხარდაჭერა და შესაძლებელი გახდება ტელეკომპანია „ქართულის“ ხილვა მთელი საქართველოსა და შემდგომ, ფრანგული თანამგზავრის მეშვეობით, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში.

ჩვენი რეკვიზიტები:

თბილისი 0179, ღამბაშიძის ქ. №4

ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66; 599 37 83 41

ელ.ფოსტა : kartuliertoba@gmail.com

ვებ.გვერდი: www.qedi.qtv.com.ge

ფეისბუქის გვერდი: საინიციატივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

გილოცავთ!

ეს უდავოდ დიდი ქართული მოვლენა შესაძლებელი გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი, საფრანგეთის თანამგზავრული კომპანიის მხარდაჭერით და სს „ქართულის“ აქციონერთა თანადგომით. ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდა, 3 მარტს, დედის დღეს.

რეზო ჩხეიძის მიერ შექმნილ დედასამშობლოსთვის შემართულ ტელევიზიას უკვე უყურებენ მსოფლიოს დიდ ნაწილში. გუშინვე myvideo-ს, silknet-ის, რამდენიმე ქალაქის საკაბელო ტელევიზიებს, „Super-TV“-ს მეშვეობით 100 000-ზე მეტი მომხმარებელი შემოუერთდა. ეს პროცესი გრძელდება.

„ორბი“ ქორივით დაასხრა ხეებს!..

თბილისის მერიის გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ნინო სულხანიშვილის განცხადებით, ყაზბეგის ქუჩაზე მოჭრილი ხეების საქმეზე მოკვლევის დაწყების მიზნით, დედაქალაქის მერიაში შესაბამისი დოკუმენტაცია გროვდება, რომელიც მთავარ პროკურატურას გადაეგზავნება.

„ახლა მზადდება საბუთები და დღესვე აუცილებლად მივმართავთ პროკურატურას. ადგილზე როდესაც ვიყავი და ვნახე ეს ხეები, არის ეჭვი, რომ საღი ხეებია მოჭრილი. ორი ვერსია არის, ერთი ის, რომ მოიჭრა ის ხეები, რომლებზეც არ ყოფილა გაცემული ნებართვა და დასკვნის მიხედვით იყო საღი, ან მეორე, თვითონ დასკვნას აქვს პრობლემა. ჩვენ ველაპარაკეთ იმ კომპანიის წარმომადგენლებს“, — განაცხადა ნინო სულხანიშვილმა და აღნიშნა, რომ თბილისის მერია იმ კომპანიას დაუკავშირდა, რომელმაც ხეებთან დაკავშირებით დასკვნა დადო. სულხანიშვილის თქმით, კომპანიაში აცხადებენ, რომ საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებენ.

ალექსანდრე ყაზბეგის 24 ნომერში სამშენებლო კომპანია „ორბის“ მიერ, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის მიზნით, კომპანია „ფორესტკომპანის“ დასკვნის საფუძველზე ოთხშაბათს ხეები მოიჭრა. დასკვნაში წერია, რომ ხეები დაავადებული, გამხმარი და ზეხმელია. ადგილზე იმყოფებოდნენ „პარტიზანი მებაღეობის“ წარმომადგენლები და საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, მათი მტკიცებით, ხეები სრულიად საღია.

„გარიყულას სკოლის“ რეგიონული პროექტის განხორციელება დაიწყო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 14 აგვისტოდან „გარიყულას სკოლის“ რეგიონული პროექტის განხორციელება დაიწყო. ოთხი თვის მანძილზე, „არტ ვილა გარიყულა“ გორისა და ხაშურის სკოლების მოსწავლეებს უმასპინძლებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას შემოქმედებით ინიციატივებში, მათ ინტეგრირებას თანამედროვე

კულტურულ მოვლენებში.

პროექტი ხელოვნების დემოკრატიზაციას ემსახურება და შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდებს კულტურაზე წვდომას გაუადვილებს; მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე ხელოვნების ისეთ ფორმატებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ აქტივობასთან — აქტივიზმი, ეკო-არტი, საჯარო ხელოვნება და ა.შ.

„არტ ვილა გარიყულა“, როგორც შიდა ქართლის რეგიონში მოქმედი, პრაქტიკულად ერთადერთი საერთაშორისო სტატუსის მქონე კულტურის ცენტრი, ახალგაზრდების შეკრების ადგილი იქნება.

პროექტის ხელმძღვანელია მერი ბეჟუაშვილი (სამოქალაქო საზოგადოების გზამკვლევი)

პროექტის ავტორი და კურატორი კი მაია ჩიკვაიძე (არტ ვილა გარიყულა)

პროექტში ჩართული არიან კვალიფიციური პედაგოგები და ტრენერები.

ფსიქოტროპულ აფთიაქებში კანონს კვლავ არღვევენ!

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო ფსიქოტროპულ აფთიაქებში ჩატარებული მონიტორინგის პირველ შედეგებს აქვეყნებს. ირკვევა, რომ 5 აგვისტოდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად დარღვევები დაფიქსირდა 30 შემთხვევაში, კერძოდ, გამოვლენილია:

ურეცეპტოდ ფსიქოტროპული მედიკამენტის გაცემის 13 ფაქტი;

აღურიცხავი ფსიქოტროპული მედიკამენტების არსებობისნ ფაქტი;

მეორე ჯგუფის მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემის 11 ფაქტი;

აფთიაქის მხრიდან უნებართვო საქმიანობის განხორციელების ერთი ფაქტი;

ახალი რეგულაციით განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების შედეგად, დადგა 13 ფარმაცევტის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.ამავე პერიოდში ფუნქციონირება შეაჩერა 17-მა ავტორიზებულმა აფთიაქმა.

რეგულირების სააგენტოს სპეციალისტები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად, 24-საათიან რეჟიმში აგრძელებენ კონტროლის ღონისძიებებს.

შეამოწმეთ თქვენი ავტომობილი რადიაციულ დაბინძურებაზე

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ ახალი ტიპის მომსახურება დანერგა, რომლის თანახმად დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ სურვილის შემთხვევაში, საკუთარი ავტომანქანა შეამოწმონ რადიაციულ დაბინძურებაზე.



უკვე განხორციელდა რამდენიმე ავტომანქანის შემოწმება, რის შედეგადაც რადიაციული დაბინძურების ფაქტი არ გამოვლენილა.

აღსანიშნავია, რომ იაპონიიდან იმპორტირებული ავტომანქანების რადიაციული კონტროლი ხორციელდება საერთაშორისო სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, თანამედროვე რადიაციული მონიტორინგის პორტალებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დიდია მოსახლეობის ინტერესი პირადად, დამატებით გადაამოწმონ საკუთარი ავტომანქანები რადიაციულ დაბინძურებაზე, რამაც განაპირობა აღნიშნული მომსახურების დანერგვა.

გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში კვლავ დავწინაურდით

2016 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში საქართველომ 64-ე ადგილი დაიკავა, და 2015 წელთან შედარებით რეიტინგში 9 პოზიციით დაწინაურდა. გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველომ 100-ბალიანი შეფასების კრიტერიუმით 33,9 ქულით გაუსწრო ისეთ უმსხვილეს ქვეყნებს როგორიცაა: ინდოეთი, ბრაზილია, ყაზახეთი და სხვა.

გლობალური ინოვაციის ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს და მდიდარ მონაცემთა ბაზას, სადაც დეტალურად არის ასახული ყველა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელიც

2016 წელს მოიცავდა 128 ქვეყნის მაჩვენებელს, რაც წარმოადგენს მსოფლიო მოსახლეობის 92.8%-ს და გლობალური მშპ-ს 97.9%-ს.

ინოვაციებში ადამიანური ასპექტების კარგად გათვითცნობიერება არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკის შემუშავებისთვის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი 20 აგვისტოს იწყება

ნადრობის სეზონი გაგრძელდება 2017 წლის 01 მარტამდე. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას აუცილებელია იცოდეთ:

პირი, რომელიც ახორციელებს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობას, ვალდებულია, თან იქონიოს;

გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), ღირებულება 10 ლარი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღების ბანკი:

ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა;

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: ხაზინის ერთიანი ანგარიში;

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 3 0077 3033

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ოთხნიშნა ციფრი (ამ შემთხვევაში 0077 აღნიშნავს თბილისს) განსხვავებულია თვითმმართველი ერთეულის შესაბამისად.

რესტორანი „არაგვი“ ავსტრიაში საუკეთესოა

გამოცემა A-Listen-ის ვერსიით, ვენაში მდებარე ერთადერთი ქართული რესტორანი „არაგვი“ ავსტრიის საუკეთესო რესტორნად დასახელდა.

რესტორანი 7 თვის უკან ქართველმა ემიგრანტის ოჯახმა გახსნა. ვენის ცენტრში განთავსებული რესტორნის მფლობელია აფხაზი ნანა ანჩაბაძე. როგორც ირკვევა „არაგვის“ კლიენტების უმეტესობა ადგილობრივი მცხოვრებნი არიან. რესტორნის სტუმრებს ყველაზე მეტად ქართული კერძები, უფრო კონკრეტულად ხინკალი, მწვადი, ხაჭაპური, ბაჟე და ლობიო მოსწონთ.

რესტორანს ღვინო და არაალკოჰოლური სასმელები საქართველოდან მიეწოდება.

57 განახლებული ობიექტი დიდუბის რაიონში

დიდუბის რაიონში 57 ობიექტზე მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის: 11 მისამართზე სადარბაზოს შიდა სარემონტო სამუშაოები, სენსორული სანათებისა და მეტალის კარის მონტაჟი, 6 ობიექტზე კი ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ასევე, წყალსაწრეტი მილებისა და შიდა წყალ-კანალიზაციის სამუშაოები 15 მისამართზე ხორციელდება, დაზიანებული კიბეებისა და აივნების მონტაჟი კი 3 მისამართზე მიმდინარეობს. ასევე 3 მისამართზე დაზიანებულ და ავარიულ სახლებს გამაგრებითი სამუშაოები უტარდება.

მიმდინარე წელს, დიდუბის რაიონის გამგეობის თანადაფინანსებული პროექტების განყოფილებამ 264 სხვადასხვა ობიექტი 2 409 669 ლარით დააფინანსა.

რიო – 2016

შეხვედრა მედალოსნებთან

რიოში, საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ოფისში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს – ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა ტალახაძეს, ბრინჯაოს მედლის მფლობელებს ირაკლი თურმანიძესა და შმაგი ბოლქვაძეს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა მათ დიდი წარმატება მიულოცა და დიპლომები და საჩუქრები გადასცა.

„უპირველესად, მინდა გამოვყო ჩვენი ძალოსნების ტრიუმფალური გამოსვლა. 16 აგვისტო მართლაც გამორჩეული დღე იყო ჩვენი სპორტის ისტორიაში – პირველად მოხდა, რომ ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ერთდროულად იდგა ორი ქართველი სპორტსმენი.

ლაშამ ყველას დაუმტკიცა, რომ უძლიერესი მამაკაცია პლანეტაზე, თანაც აქ მსოფლიოსა და ოლიმპიური რეკორდებიც დაამყარა. ასევე აღსანიშნავია თურმანიძის საოცრად კარგი გამოსვლა ოლიმპიურ ფიცარნაგზე. მან ბოლომდე იბრძოლა, თავისი ძალა მაქსიმალურად გამოავლინა და ჯილდოდ ბრინჯაოს მედალი მიიღო.

ჩენი მოჭიდავეებიდან ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აჩვენა შმაგი ბოლქვაძემ. მას ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ასევე ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა და ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ღირსეულად დაიკავა ადგილი.

ჩვენ უკვე ხუთი მედალი გვაქვს და ეს ყველას გვახარებს, თუმცა, ამაზე გაჩერებას არ ვაპირებთ. წინ არის შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში. უკვე ფინალშია და მედლისთვის იბრძოლებს ჩვენი ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე.

ახლა მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, რათა ოლიმპიური თამაშების ფინიშზე კვლავ გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები“ – აღნიშნა ლერი ხაბელოვმა, რომელმაც ჩვენს ოლიმპიელებს და მათს მწვრთნელებს სამახსოვრო მედლები და სოკ-ის სერთიფიკატები გადასცა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ელგუჯა ბერიშვილი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტები – ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაბარელი.

მანუჩარ გიორგაძე

ფეხბურთი

ინტრიგა მხოლოდ „ოლიმპიკოზე“ თუ იქნება

უეფას ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში მორიგი ხუთი შეხვედრა გაიმართა. პორტუში ადგილობრივი გუნდი და იტალიური „რომა“ დაზავდნენ – 1:1, ფრანგულმა „მონაკომ“ კი ესპანეთში „ვილიარეალს“ აჯობა – 2:1 და ჯგუფური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

გულშემატკივარმა „პორტუსა“ და „რომას“ მატჩში ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველ 45 წუთში სტუმრები მეტოქეს ერთი თავით აღემატებოდნენ და სახიფათო იერიში არაერთხელ მიიტანეს იკერ კასილიასის კართან. პორტუგალიელთა საბედნიეროდ, ვეტერანი ესპანელი საოცრებებს სჩადიოდა, განსაკუთრებით ერთ ეპიზოდში გამოირჩა, როდესაც ზედიზედ სამი რთული დარტყმა უკუაგდო. უნდა ითქვას, რომ დასაწყისში იკერიც უხეშად შეცდა, თუმცა, ედინ ჯეკომ საჩუქარი ვერ შეირგო. მიუხედავად ამისა, „მგლები“ 21-ე წუთზე მაინც დაწინაურდნენ:. მასპინძელმა ფელიპემ საკუთარი კარი აიღო. ტაიმის ბოლოს კი თომას ვერმაელენი გააძევა მსაჯმა და ყველაფერი შეიცვალა. „პორტუმ“ მეორე ნახევარში მეტოქე აშკარად დაჩაგრა, მაგრამ ოდენ კინკილა გოლს გამორჩა და ერთი კვირის თავზე რომში ყველაფერი თავიდან დაიწყება.

„ელ მადრიგალზე“ მოგება ადვილი არაა, თუმცა, „მონაკომ“ ამის გაკეთება მაინც მოახერხა. ფრანგებმა მატჩის დასაწყისსა და დასასრულში შეაგდეს ორი გოლი, რაც მოსაგებად ეყოთ. „ვილიარეალმა“ ერთი ხანობა წონასწორობა აღადგინა – „ყვითელი სუბმარინას“ რიგებში დებიუტი გოლით აღნიშნა ბრაზილიელმა ალეშანდრე პატომ.

დარჩენილი სამი წყვილი ამ ორი თამაშის ფონზე ჩრდილში იყო მოქცეული და საპასუხო მატჩების წინ ინტრიგა თითქმის აღარცერთს შემორჩა. ირლანდიის ჩემპიონმა „დანდალკმა“ მორიგი სასწაული ვერ შემოგვთავაზა და შინ უშანსოდ წააგო ვარშავის „ლეგიასთან“ – 0:2. ასეთივე ანგარიშით მოიგო ბულგარულმა „ლუდოგორეცმა“ ჩეხეთის ჩემპიონ „პლზენთან“, ოღონდ საკუთარ მოედანზე. და მაინც, ძნელი წარმოსადგენია ბულგარელებმა მიღებული ფორა გაანიავონ.

გლაზგოს „სელტიკმა“ კი ბეერშევას „ჰაპოელს“ „სელტიკ პარკზე“ დიდი ანგარიშით მოუგო – 5:2. ყველაფერი პირველ ტაიმში გადაწყდა, როდესაც სქოთებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. თუმცა, მეორე ტაიმის საწყის 12 წუთში ისრაელის ჩემპიონმა ჩამორჩენის მინიმუმადე დაყვანა შეძლო, მაგრამ მერე თამაშის სადავეები ისევ გაექცა, რითაც ბრენდან როჯერსის გუნდმა ჩინებულად ისარგებლა და სამბურთიანი სხვაობით მოუწევს ისრაელში ჩასვლა.

გიორგი ზოთაძე

არჩევნების წინ

ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თანამდებობიდან გადადგა

კახი კახიაშვილი ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა.

კახი კახიაშვილი: „ძალოსნებისთვის წარმატებული ოლიმპიადის მიუხედავად, მე გადავდექი ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან და გაცნობებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2016 წლის 19 სექტემბერს გაიმართება. როგორც არ უნდა დასრულდეს შემდეგი არჩევნები,მე ყოველთვის ქართული ძალოსნობის გვერდში ვიქნები. სავარაუდოდ, მეც ვიყრი კენჭს და თუ ძალოსნობის საზოგადოება, ძალოსნობის ოჯახის წევრები მხარს დამიჭერენ, კიდევ უფრო მეტი მონდომებით, ენთუზიაზმით გავაგრძელებ მუშაობას. რა თქმა უნდა, შიდა შეჯიბრებები გვაქვს დასაგეგმი, ჩასატარებელია უამრავი შეკრება, საერთაშორისო არენაზე ჩვენი პრესტიჟის დაცვაა აუცილებელი. ეს ყველაფერი დასახვეწია“, – ნათქვამია საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საკუთარი ინფორმაცია

რაგბი

ექვსი ერის განსხვავებული ბონუს-სისტემა

ექვსი ერის ხელმძღვანელები ტურნირის განვითარების გზებზე მსჯელობას განაგრძობენ და ერთ-ერთ მიმართულებად ბონუს-ქულების სისტემის დანერგვას განიხილავენ.

დღეისათვის მხოლოდ ამ ტურნირში არ მოქმედებს შეტევითი ან დაცვითი ბონუს-ქულების სისტემა, როცა სხვადასხვა შეჯიბრებებში დამატებითი 1 ქულის მიღების განსხვავებული სისტემები არსებობს – ზოგან ამისათვის 4 ლელოს დადება კმარა, ზოგან აუცილებელია მეტოქეზე სამით მეტი ლელო დადო. დაცვით ბონუსს საფრანგეთის ჩემპიონატის გარდა ყველგან ის გუნდი იღებს, რომელიც 7 და ნაკლები ქულის სხვაობით მარცხდება – საფრანგეთში ზღვარი 5 ქულაა.

ექვსი ერის მმართველებს არცერთი ეს სისტემა არ ხიბლავთ ან უბრალოდ სურთ გამორჩეულები იყვნენ და მათ მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტის მიხედვით ბონუს-ქულას ის გუნდი მიიღებს, რომელიც მეტოქეს გასვლით მატჩში დაამარცხებს და ამასთან მინიმუმ 4 ლელოს გაიტანს. დაცვით ბონუსზე პროექტში საუბარი საერთოდ არაა და The Rugby Paper-ის ცნობით, არაა გამორიცხული ცვლილებები ექვსი ერის 2017 წლის სეზონში დაინერგოს.

ამ პროექტს ტურნირის მონაწილეებთან ერთად სექტემბერში განიხილავენ, თუმცა, მას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები და ეს არცაა გასაკვირი. ბევრი თვლის, რომ ამით გუნდები არათანაბარ პირობებში იქნებიან, რადგან ყოველწლიურად ექვს ერში გუნდების ნაწილს სამი, ხოლო ნაწილს ორი გასვლითი მატჩი უწევს. მაგალითისთვის, 2017 წლის სეზონში ირლანდია, საფრანგეთი და უელსი სტუმრად სამ, ხოლო იტალია, ინგლისი და შოტლანდია ორ თამაშს ჩაატარებენ. გარდა ამისა, უპირატესობა ექნებათ იმ გუნდებსაც, რომლებსაც გასვლითი თამაშები რომში იტალიასთან ექნებათ ჩასატარებელი.

კოგა კოგახიძე

კალათბურთი

პარკერმა სანაკრებო კარიერა დასრულა

საფრანგეთის საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთმა უმთავრესმა ვარსკვლავმა ტონი პარკერმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც ის ეროვნულ გუნდში ასპარეზობას ასრულებს.

34 წლის პარკერმა ეს გადაწყვეტილება რიოს ოლიმპიური თამაშების მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ მიიღო, რომელშიც საფრანგეთი ესპანეთთან 67:92 განადგურდა, თავად პარკერმა კი 14 ქულა ჩააგდო.

ცნობისთვის, ტონი საფრანგეთის ნაკრების ღირსებას 2001 წლიდან იცავდა და მისი მაისურით 2013 წლის ევროპის ჩემპიონატი, 2011 წლის ევრობასკეტის ვერცხლის მედალი და 2005 და 2015 წლების ევროპირველობების ბრინჯაოს მედლები მოიგო.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

სერენა ტრავმირებულია

გამოჩენილ ამერიკელ ჩოგბურთელს სერენა უილიამსს მარჯვენა მხრის ტრავმა აწუხებს, რის გამოც მან ცინცინატის მასტერსი გამოტოვა.

„ძალიან დამწუხრებული ვარ, რომ თამაში არ შემიძლია. მინდოდა ტიტული დამეცვა. მხრის ტრავმა მაწუხებს, მაგრამ კორტს ძალიან მალე დავუბრუნდებ“ – განაცხადა უილიამსმა.

შეგახსენებთ, რომ სერენა რიოს ოლიმპიადაზე მერვედფინალში უკრაინელ ელინა სვიტოლინასთან 4:6, 3:6 დამარცხდა.

გადრი იაშვილი

◎ საყურადღებო ინფორმაცია

ვისაც ისრაელში გადასვლა სურს, რეპატრიაციაში დახმარებას სთავაზობენ

რამდენიმე დღის წინათ თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელში მოქმედი უმსხვილესი ორგანიზაციის „მეგობრობის ფონდის“ აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორი იაელ ბრანოვსკი, რომელიც საქართველოში მცხოვრებ ებრაელებსა და მათ ორგანიზაციებს შეხვდა.

ფონდი საქველმოქმედოა და ბოლო ორი წელია, ებრაელობას რეპატრიაციაში ეხმარება. იგი მათ სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომასა და მრავალმხრივ მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურ დახმარებას, ბავშვებისთვის სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს და აბსორბციაში ხელშეწყობას.

ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ დამატებით, რეპატრიანტების ჩვეულებრივ შეღავათებთან ერთად, რომელსაც მათ ისრაელის სახელმწიფო სთავაზობს.

იაელ ბრანოვსკიმ თბილისში პირველი და შემდეგ, შემაჯამებელი შეხვედრა ისრაელის სახლის დამფუძნებელთან იციკ მოშესთან გამართა, სადაც გადაწყდა, რომ ისრაელის სახლი ფონდს რეპატრიაციის პროცესში დაეხმარება.

მედიანიუსი „მეგობრობის ფონდის“ აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორ იაელ ბრანოვსკის ესაუბრა.

— მეგობრობის ფონდი, რომელსაც მე წარმოვადგენ, ისრაელის ყველაზე მსხვილი ფონდია და უკვე ორ ათწლეულზე მეტია, ისრაელში საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ფონდის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, რაბინმა იჰიელ ეკშტეინმა მიზნად დაისახა თითოეულ ებრაელს დაეხმაროს, რომელიც ისრაელის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ორი წლის წინათ ფონდმა რეპატრიაციის საკითხზე მუშაობა დაიწყო ევროპასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

— ცოტა ხნის წინათ თქვენ საქართველოში იმყოფებოდით. შეხვდით ებრაელებს, ასევე ებრაულ ორგანიზაციებს. რა იყო თქვენი ვიზიტის მიზანი?

— საქართველოში ვიზიტით ფონდის საქმიანობა გავაფართოვე. ამიერიდან თქვენს ქვეყანაზეც ვიმუშავებთ. სიამოვნებით დავეხმარებით ყველას, ვისაც რეპატრიაციის ნებართვა აქვს მიღებული კონსულისგან. დავეხმარებით ისრაელში რეპატრიაციის ოცნების ასრულებაში. ალიის მსურველს რომ გავუადვილოთ სტარტი, ჩვენ ფულად დახმარებას ვაწესებთ 10004 დოლარის ოდენობით და ბავშვებზე 500 დოლარის ოდენობით (ეს სახელმწიფოს მიერ დაწესებული აბსორბაციის კალათის გარდა). ჩვენი კურატორები თან გაჰყვებიან თითოეულ ებრაელს რეპატრიაციის პირველ წელს. ჩვენ ასევე ვეხმარებით დასაქმების საკითხებში და მუნიციპალიტეტთან კავშირის დამყარებაში.

— როგორ გესახებათ თქვენი ორგანიზაციის თანამშრომლობა „ისრაელის სახლთან“, რომელიც მხარს უჭერს ჰასბარასა და ალიის პროცესს?

— „ისრაელის სახლი“ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში წამყვანი ორგანიზაციაა. ისრაელში საქართველოდან ჩამოსული დიდი თემი ცხოვრობს, რომელთა წყალობით, ისრაელის ტურიზმისა და ბიზნესისთვის საქართველოს პოპულარობამ იმატა. ვფიქრობ, ჩვენი მიზანი ერთნაირი თუ არა, ერთმანეთთან ახლოსაა: ჩვენთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო კავშირი ორ ქვეყანას და ხალხებს შორის, რომ თითოეულ ებრაელს მიეცეს შესაძლებლობა, ისრაელის შესახებ მეტი შეიტყოს და მას რეპატრიაციაში დავეხმაროთ, როდესაც იგი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში?

— ხშირად ვეწვევი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ჩემი იქ არ ყოფნის პერიოდში კი, თითოეულ მსურველს შეუძლია ტელეფონით დამიკავშირდეს (ვაიბერით, ვოტსაპით, ან ჩვეულებრივი ზარის მეშვეობით), ელექტრონული ფოსტით, ან ფეისბუქში ჩვენი საიტის მეშვეობით. ჩვენ თანამედროვე ტექნოლოგიების დროში ვცხოვრობთ. დრო, რომელსაც მიღებაზე ჩასაწერად და რიგში დგომაში ვკარგავდით, წარსულს ჩაბარდა.

ცნობისთვის: მეგობრობის ფონდი ისრაელში რეპატრიაციის მსურველებს მიმართავს, ჩაეწერონ წინასწარ, რომ გარანტირებული ჰქონდეთ ყველა დამატებითი შეღავათის მიღება.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართოთ ტელეფონზე: +97250-3432042

(ვაიბერი, ვოტსაპი ანდა ჩვეულებრივი ზარი) ან მისწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: Yael.Branovsky@ifcj.org.il https://www.facebook.com/kerenedidut/?fref=ts

პირველად საქართველოში საერთაშორისო პრინტ-ფესტივალი

ასოციაცია „არტ კავკასიის“ ორგანიზებით და თიბისი ბანკის მხარდაჭერით, საერთაშორისო პრინტ-ფესტივალი „LIFE N STYLE“ დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — ხელით ბეჭდვის (შოლკოგრაფია, ოფორტი, ლითოგრაფია, ლინო გრავიურა და ა.შ) აღდგენა-ხელშეწყობას.

ფესტივალის ფარგლებში თიბისი გალერეაში ქართველი არტი-სტების მიერ, სპეციალურად ამ ტექნოლოგიით შესრულებული ორიგინალური ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტატო ახალკაციშვილის, მარი ათანელის, უტა ბექაიას, ალექს ბერდიშევის, მაია სუმბაძის, მურთაზ შველიძის, მამუკა ცეცხლაძის, ნიკო ცეცხლაძის, კოკა ცხვედიანის, გურამ წიბახაშვილის, ოლეგ ტიმჩენკოს, გეგა პაქსაშვილის და სხვა ცნობილი არტი-სტების ნამუშევრები.

ხელით ბეჭდვის ტექნიკა უნიკალურია იმით, რომ იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს ნამუშევრის რამდენიმე (10-15) ეგზემპლარად ტირაჟირება, რომელთაგან ყველა ორიგინალია. სწორედ ეს განაპირობებს ამ ტექნოლოგიის მიმზიდველობას და ამასთან, უზრუნველყოფს მის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას.

ეს ტექნოლოგია მაღალ დონეზე მუშაობს განვითარებულ ქვეყნებში. შექმნილია სპეციალიზირებული სახელოსნო-გალერეები, ეწყობა საერთაშორისო ფესტივალები, ბიენალეები, მიმდინარეობს ბეჭდვითი მედიის მუდმივი პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მხატვრების წამახალისებელი აქციები, მათი მოზიდვა და ჩართვა.

საქართველოში, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხელით ბეჭდვის ტექნოლოგიის გამოყენებით შეიქმნა სპეციალური კოლექცია. ეს კოლექცია გადატანილი იქნა ტექსტილსა და კერამიკაზე. დამზადდა ჩანთები, მაისურები, საკოლექციო ჭურჭელი, რომლებიც გამოფენის პარალელურად იქნება წარმოდგენილი და ნამუშევრებთან ერთად გაიყიდება.

გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრების ნახვა შესაძლებელი იქნება ბათუმის ქუჩებშიც. კოლექცია დაიბეჭდა დიდ ფორმატებზე და ის ინტეგრირებული იქნება ქალაქში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე: ზღვის სანაპიროზე, კაფეებში, სკვერებში, სახოვრებელ და გასართობ სივრცეებში. ფესტივალი ბათუმში 7 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება.

ფესტივალის საუკეთესო კოლექცია შემდგომში მოივლის თბილისს და საქართველოს სხვადასხვა ქალაქს, ასევე მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო პროექტებში.

სანთელი

შვილი ნუგზარ ჩხეიძე, რძალი ნინა ყიფიანი, და ნონა ჩიქოვანი, შვილიშვილები ჯიმი, დიმიტრი ჩხეიძეები, მძახლები ჯიმი, ბაია ყიფიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ დავითის ასული ჩიქოვანი

პანაშვიდი 19 VIII, დაკრძალვა 20 VIII, 15 სთ. მისამართი თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33ა, III სად. VI სართ.

ჯიმი, ბაია ყიფიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ დავითის ასული ჩიქოვანი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ლილი გაბუნია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაღუპული სამხედროების ძებნაში თურქეთიც გვეხმარება

საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების ძალების ორი სამხედრო მოსამსახურის სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების განსახორციელებლად თურქეთიდან, გუშინ დილის 2 საათზე კიდევ ერთი ხომალდი დაიძრა. თურქეთის საზღვაო ძალების მცურავი საშუალება, რომელიც შესაბამისი პერსონალითაა დაკომპლექტებული და სამძებრო აპარატურითაა აღჭურვილი, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში დღეს დილით შემოვა.



საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თურქეთის სანაპირო დაცვის პირველი კატარღა 9-კაციანი ეკიპაჟით ტრაგედიის დღესვე შემოვიდა და სამუშაოებში ჩაერთო.

ქართველი სამხედროების სამძებრო-სამაშველო ღონისძიებებში დახმარების გასაწევად თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ გუშინ დილით, გონიოში ჩასვლამდე აწარმოა, რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სამსახური დაუყოვნებლივ ჩაერთო სამუშაოებში.

საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, სამუშაოებში პირველივე დღიდან ჩართულია აშშ-ის ევროპული სარდლობა.

18 კილოგრამზე მეტი ოქროს ზოდები საბაჟოზე

საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ კონტროლის ზონაში სხვადასხვა სინჯისა და წონის არადეკლარირებული ოქროს ზოდები (19 ცალი) საერთო წონით 18.6 კილოგრამი აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა უკანონო ტვირთი აზერბაიჯანის მოქალაქის, ა.ი-ს სატრანსპორტო საშუალების რენტგენო-სკანერზე გაშუქებისა და დეტალური დათვალიერების შედეგად გამოავლინეს. ოქროს სხმულები ავტომობილის უკანა სავარძლის საზურგესა და საბარგულს შორის არსებულ სპეციალურ სამალავში იქნა აღმოჩენილი. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 1 322 763 ლარი შეადგინა.

დააკავეს სალოცავის ქურდები

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1995 წელს დაბადებული ა.ხ. და 1988 წელს დაბადებული ლ.ფ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა დუშეთის რაიონის სოფელ უკანხადუში მდებარე სალოცავი გაქურდეს.

სამართალდამცველებმა სალოცავიდან მოპარული ნივთები - ვერცხლის სხვადასხვა სახის 79 ნაკეთობა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

◎ საუფლო დღესასწაული

ფერისცვალება უფლისა

19 აგვისტოს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ფერისცვალებას ჩვენისა უფალ იესო ქრისტესი.

...უფალ იესო ქრისტეს ფერისცვალება უკავშირდება მისი ქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი წლის იმ ეპიზოდს, როდესაც მან უწინასწარმეტყველა მოციქულებს თავისი ვნებისა და სიკვდილის მოახლოება, ჯვარცმა იერუსალიმში და განუმტკიცა რწმენა, რომ მისი ვნების დროს არ ცდუნებულიყვნენ, ამიტომ ზოგიერთ თავის მოწაფეს, კერძოდ პეტრეს, იაკობს და იოანე მოციქულებს ეჩვენა თავისი საღვთო დიდებით თაბორის მთაზე, სადაც ისინი ავიდნენ სალოცავად.

ლოცვის დროს მაცხოვრის სახე განბრწყინდა, როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც თოვლი და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში. თავიდან მოწაფეები რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამაღმერთის ხმა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“**.

ფერისცვალებას მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს 19 აგვისტოს.

საგულისხმოა, რომ უფლის ამ დიდ დღესასწაულზე, წირვის ბოლოს იკურთხება ყურძენი და სხვა ხილი...

გილოცათ დღევანდელ დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა
სამშაბათს, 23 აგვისტოს

◎ ანეკდოტები

— შეხე, შეხე, ჭიჭიკია, ე, ნაზიბროლა რავა მიგორავს! მოდი, დოუძახოთ — შე მათხოჯო სულელო-თქვა!

— აპა, მაგ ჭკუაზე ვარ ახლა მე, ნაზიბროლა ჩერჩეტის გულიზა იოგები დევიგლიჯო! შენი ცოლია, ბიძია და შენ თვითონ დოუძახე!..

* * *

— ბიჭო, მურთაზია, ასეთი ლამაზი გოგოს სექსზე დაყოლიება ამ ერთი ფილა შოკოლადით აპირებ, შე საცოდავო?

— კი მაგრამ, ეს ხომ თხილიანი შოკოლადია!

— ჰო-ო.. თუ თხილიანია, მაშინ ბაზარი არაა...

* * *

— იცი, ჩემმა ძაღლმა პირველმა გაიგო, რომ სამსახურში დამაწინაურეს!

— კი მაგრამ, ეგ როგორ? შენი ძაღლი, რა, ექსტრასენსია?

— არა, რა ესექტრასენსი! მე თვითონ ვუთხარი...

* * *

— მაინც, რა ოდენობის ხელფასი დაგაკმაყოფილებთ ჩვენთან თუ დაიწყებთ მუშაობას? — ეკითხებიან გასაუბრებაზე მისულ ახალგაზდა სპეციალისტს.

— რა ოდენობის, ბატონო და: „ვაუ, ეს სულ ჩემია, ტო?!“

* * *

— იცი, ბიჭო, წუხელ კოშმარი დამესიზმრა, თითქოს ჩემი ცოლი ძილში ხვრინავდა!.. ერთიანად ოფლში გაწურულმა გავიღვიძე და პირჯვარი გადავისახე — არავინაც არ ხვრინავდა, მე ხომ ბერბიჭა ვარ!..

* * *

სკოლაში ფიზკულტურის და შრომის მასწავლებლებმა იჩხუბეს. და ნუ გაგიკვირდებათ, რომ გაიმარჯვა სათვალიანმა შრომის მასწავლებელმა, იმიტომ რომ ძიუდო ძიუდოა, ჩაქუჩი კიდე ჩაქუჩია.

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!



„საქართველოს რესპუბლიკა“ იწყებს ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.

ვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე. ასევე შესაძლებელია ობიექტური რეცენზიების პუბლიკაცია (რომლებიც არ შეიცავენ ესთეტიკურ შეფასებებს). ავტორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა არა მხოლოდ გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემის ფურცლებზე, არამედ მიიზიდონ გამომცემელთა და კრიტიკოსების ყურადღება, გახადონ უფრო მკაფიო თავიანთი ლიტერატურული ბედი.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მობრძანდნენ.

ფასების ნიხრი ასეთია:

ლექსის სტრიქონი	**— 1,5 ლარი,**
მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი	**— 30 ლარი,**
პიესის თითო კომპიუტერული გვერდი	**— 20 ლარი,**
პუბლიცისტური წერილის გვერდი	**— 25 ლარი,**
ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე	**— 15 ლარი,**
რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი	**— 25 ლარი.**

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

APPLE „ციფრული გაზეთის“ შექმნაზე მუშაობს

აშშ-ს სავაჭრო ნიშნისა და პატენტის უწყებამ Apple-თან დაკავშირებული მორიგი სიახლე ამცნო საზოგადოებას. ირკვევა, რომ „ჩაკბეჩილი ვაშლი“ ინტენსიურად მუშაობს „ციფრული გაზეთის“ შექმნაზე. საუბარია მოწყობილობაზე, სადაც უამრავი News-ი მოიყრის თავს. ახალ მოწყობილობას დიდი და რბილი ეკრანი ექნება და მისი გადაბრუნების შემთხვევაშიც კი ინფორმაციის გაცნობა იქნება შესაძლებელი. უფრო გასაგები, რომ იყოს მისი გაზეთივით მოხმარება იქნება შესაძლებელი.

ამ დროისათვის უცნობია თუ როდის წარადგენს Apple გაზეთს, თუმცა მთავარია, რომ ამერიკულ გიგანტს სიახლეზე მუშაობა დაწყებული აქვს და ის ყოველთვის მზადაა, ინოვაცია შესთავაზოს „Apple-სტენს“.

ინტერნეტიდან

თვალუჟუჟუნა კარლა

სამხრეთ ამერიკაში პოპულარული კოლუმბიელი მოდელი კარლა ოსა ირწმუნება, რომ თავის დროზე თვით რადამელ ფალკაო უჟუჟუნებდა თვალებს, მაგრამ როგორც მამაკაცი დიდად არ მომეწონა და მის შემოთავაზებებზე მტკიცე უარი განვაცხადეო.

თავის მხრივ კი რადამელ ფალკაო იფიცება — კარლა ოსა თვალითაც კი არ მყავს ნანახი და ჩემთან დაკავშირებული მისი სიტყვები სრული სისულელე და შემზარავი აბსურდიაო. რა თქმა უნდა, რთულია, გაიგო ამ ორი ადამიანიდან ვინაა მართალი.

ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, რადამელს მექალთანის სახელი აქვს გავარდნილი, კარლა ოსას კი აქამდე არაერთი პარტნიორი გამოუცვლია. სხვათა შორის, კარლა ოსა რამდენიმე წლის წინათ, „მის კოლუმბიადაც“ დასახელდა და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მის თანამემამულე რადამელ ფალკაოს ამ ქალის სახელი გაგონილი მაინც არ ჰქონდეს.

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.317; ევრო - 2.611;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.012;
100 რუბლი - 3.611; თურქული ლირა - 0.789;
აზერბაიჯანული მანათი - 1.424;
1000 სომხური დრამი - 4.873.

ამინდი 19 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +12,	დღე +30
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +34
თბილისი:	ღამე +19,	დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE